პიონერი

№ 5
1929

სახელგამი

როგორ ჩავატაროთ ლაშქრობა მოსავლისათვის

ჩვენი ჟურნალის გასულ ნომერში მოთავსებული იყო წერილი პიონერების და მოწაფეების მიერ წინასწარი მუშაობის ჩატარების შესახებ მოსავლისათვის ლაშქრობაში მონაწილეობისათვის. დღევანდელ ნომერში ჟურნალის რედაქცია ათავსებს ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაეხმარონ პიონერები და მოწაფეები კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ამ უდიდეს საქმეში.

აი როგორ უნდა ჩაატარონ პიონერებმა და მოწაფეებმა ლაშქრობა მოსავლისათვის.

ლაშქრობა მეურნეობის კულტურულად წარმოებისათვის, სუფთა თესლისათვის, მიწის განოყიერებისათვის, სათესი ფართობის გადიდებისათვის, მავნებლების და ნაგავის წინააღმდეგ, — აი ჩვენი გადაუდებელი ამოცანა!

სოფლის ყოველმა რაზმმა უნდა მოიპოვოს მიწის პატარა ნაჭერი (დესეტინის 1/4) და შექმნას **კოლექტივის კოლექტიურ - სანიმუშო ბოსტანი** ან ბაღი, ანდა მოკიდოს ხელი ფრინველთა გაშენებას, მეაბრეშუმეობას ან მეურნეობის სხვა სახეს.

ამ წელს არ უნდა იყოს სოფლის არცერთი რაზმი, რომელიც არ აწარმოებდეს სასოფლო-სამეურნეო მუშაობას.

პიონერთა მოედანი ადრე უნდა გაიხსნას; უნდა უამბოთ მშობლებს და გლეხებს, თუ რა დიდი სარგებელი მოაქვს ადრე ხვნას მოსავლისათვის.

მიწა ხელოვნურად უნდა განოყიერდეს.

ბოსტნისათვის და ღარიბი გლეხების და წითელარმიელთა ცოლების მეურნეობისათვის უნდა შეირჩეს თესლი.

რაზმში (ჯერ ხელმძღვანელთა საბჭოში, რგოლების დავალების სახით, და შემდეგ რაზმის შეკრებაზე) უნდა ჩატარდეს აგრონომის საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ სანიმუშო მეურნეობა. რაზმის ბოსტანში აგრონომის რჩევების მიხედვით უნდა წარმოებდეს მუშაობა.

უნდა დაევალოს ყოველ პიონერს უამბოს მშობლებს სასოფლო მეურნეობის მეცნიერულ საფუძველზე წარმოების შესახებ და იმ რჩევა-დარიგებებზე, რომელსაც იძლევა აგრონომი მეურნეობის გაუმჯობესებისათვის.

ჩატარებულ იქნეს მშობლების კრება, სადაც მოეწყობა აგრონომის მოხსენება მეურნეობის მეცნიერულად წარმოების შესახებ, და პიონერებიც გაუზიარებენ კრებას თავის პიონერულ ბოსტანში ამ სასარგებლო ღონისძიებათა გამოყენების შედეგებს (წარსული წლის გამოცდილების მიხედვით).

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის.

1. უნდა მოეწყოს საღამო გლეხებისათვის, აგრონომის ან კოოპერაციის მუშაკის მოხსენება **კოლექტიური** მეურნეობის სარგებლიანობის შესახებ, განემარტოს მშრომელ გლეხობას, რომ კოლექტიური მეურნეობა მეტ შემოსავალს და მოგებას იძლევა, ვიდრე იმავე მოცულობის ინდივიდუალურ მეურნეობათა ჯგუფი.

2. მოეწყოს ექსკურსია უახლოეს კოლმეურნეობაში, ნადში, საბჭოთა მეურნეობაში (გაეცანით მათ მუშაობას, დახატეთ პლაკატები კოლმეურნეობის მიღწევების შესახებ და გამოჰკიდეთ ქოხ-სამკითხველოში).

3. მოეწყოს საუბარი ბავშვებთან იმის შესახებ, თუ „კულაკები" რატომ არიან კოლექტიური მეურნეობის და კოოპერაციის წინააღმდეგნი.

4. უფროსი პიონერები ეხმარებიან კომკავშირელებს კოლმეურნეობის მოწყობაში, ესაუბრებიან მშობლებს კოლმეურნეობაში მათი შესვლის აუცილებლობაზე, ეხმარებიან მათ ორგანიზაციულ მუშაობაში და სხვა.

შ. ასტაშევი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

		გვ.
1.	პარიზის კომუნა — ა. რ—ის	1
2.	გამოვაცოცხლოთ კედლის გაზეთები, — **მ. ელიჯარაშვილის**	2
3.	მე კომუნარი ვარ, — **ს. ერთაწმინდელის**	3
4.	პარიზის კომუნა, — ლექსი **ალ. ადამია**	5
5.	სტამბის მუშები, — ლექსი **ია ჯიბლაძის**	5
6.	სტამბის მუშების ყოფა-ცხოვრება, — **შ. ესებუასი**	6
7.	პიონერთა კედლის გაზეთების შესახებ — **ალ. ბილანიშვილის**	7
7.	ჩადრი, — ლექსი **ვ. ჟურულის**	7
8.	კუსალა, — **ვ. გ—ის**	7
9.	გ ა ზ ე თ ი	10
10.	მოჯამაგირე თია, — **ა. ჩაჩიბაიასი**	12
11.	პატარა მათხოვარი, — ლექსი **ტრ. რუხაძის**	13
12.	მეცნიერება და ტექნიკა: 1. როგორ წარმოიშვა ადამიანი — **გა—ნის**	14
	2. ტექნიკის გმირებთან — **ა. ბონდის**	15
	3. კიბო — გოლიათი — **სანის**	16
13.	როგორ ჩავატაროთ ლაშქრობა მოსავლისათვის **ასტაშევასი** — გარეკანზე.	

329.153(051)
3-47

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1929
15 მარტი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი IV
№ 5

პარიზის კომუნა

1871 წელს პარიზის პროლეტარიატმა კომუნა გამოაცხადა. **ეს პირველი ცდა იყო ისტორიაში პროლეტარული ხელისუფლების დასამყარებლად.**

რამ წარმოშვა პარიზის კომუნა? საფრანგეთი და კერძოდ კი პარიზი სამოცდაათიან წლებში მრეწველობის მარად დიდ კრიზისს განიცდიდა, რამაც გამოიწვია უმუშევრობა და სიძვირე. საფრანგეთის ბურჟუაზია და მემამულეები ცხოვრობდენ ფუფუნებაში, იმ დროს, როდესაც მუშათა კლასის მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა, რაც იწვევდა წინააღმდეგობას ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის.

1870-71 წლებში სწარმოებდა საფრანგეთ-პრუსიას შორის ომი. ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა საფრანგეთის ჯარი, ხოლო 1870 წლის 4 სექტემბერს პრუსიელებმა საბოლოოდ დაამარცხეს ფრანგები და ტყვედ ჩაიგდეს ჯარი. პრუსიის ჯარები გაეშურენ პარიზისაკენ. ამ დროს პარიზში შესდგა „ეროვნული თავდაცვის დროებითი მთავრობა“, რომელმაც მიზნად დაისახა პარიზის დაცვა. დროებითმა მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა. შესდგა „ეროვნული გვარდია“ პარიზის დამცველი შეიარაღებული მუშები საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენდენ, ვიდრე პრუსიის ჯარები, რომელნიც თანდათან უახლოვდებოდენ პარიზს. მთავრობა იძულებული გახდა დაედო ზავი პრუსიელებთან იმ პირობით, თუ მუშებიც დაყრიდენ იარაღს. მაგრამ მუშებმა ბურჟუაზიის მიერ მოპოვებული ზავი არ მიიღეს და იარაღის დაყრაზე უარი განაცხადეს.

ტიერის მთავრობა გაიქცა ვერსალში, შეუერთდა პრუსიელებს და ერთად დაიწყეს ბრძოლა პარიზის პროლეტარიატის წინააღმდეგ. ტიერის მთავრობის გაქცევის შემდეგ ქალაქში ძალა-უფლება ნაციონალური გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა აიღო და **1871 წლის 18 მარტს გამოცხადდა კომუნა.** კომუნა შეუდგა მთელ რიგ რევოლუციონურ ღონისძიებათა განხორციელებას. გაუქმებულ იქნა მუდმივი ჯარი, გამოიცა დეკრეტი, რომ ეკლესია უნდა გამოყოფოდა სახელმწიფოს, ფაბრიკა-ქარხნები გადაეცა მუშებს, დაარსებულ იქნა კოოპერატიული ამხანაგობები და სხვა. ხანმოკლე არსებობის გამო (პარიზის კომუნამ არსება სულ 72 დღე) კომუნას არ შეეძლო ყველა იმ ღონისძიების გატარება, რომელიც მას ქონდა დასახული. პარიზის კომუნარები ყოველი მხრიდან გარშემორტყმული იყვნენ მტრებით. ისინი მოწყეტილი იყვნენ როგორც საფრანგეთს, ისე მთელ მსოფლიოს და ამიტომ ვერ დაეხმარა მათ საერთაშორისო პროლეტარიატი.

20 მარტს, დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, ტიერის კონტ-რევოლუციონურმა ჯარებმა აიღეს ყველა სიმაგრე, და ერთი კვირის განმავლობაში ბურჟუაზიის ჯარებმა დახვრიტეს სამი ათას კაცამდე—მამაკაცები, ქალები და ბავშვები. სულ კი პარიზის კომუნისათვის დაიღუპა 70 ათას კაცზე მეტი. ბურჟუაზიის შედარებით ადვილი გამარჯვება იმას უნდა მიეწეროს, რომ პარიზის პროლეტარიატი მაშინ სუსტი იყო როგორც შეკავშირებით, ისე კლასიური შეგნებით. აგრეთვე მან დაუშვა მთელი რიგი შეცდომები: მ. გ. ის რბილად ეპყრობოდა ბურჟუაზიას, რომელიც ამ დროს აწარმოებდა კონტრ-რევოლუციონურ მუშაობას, უშვებდა თავის ჟურნალ-გაზეთებს, პარიზიდან გადიოდა ვერსალში და იქ თავს უყრიდა თავის ბნელ ძალებს.

კომუნამ ვერ გამოიყენა ის ქონება, რომელიც დატოვა ბურჟუაზიამ და მოთავსებული იყო საფრანგეთის ბანკში, იმ დროს, როდესაც კომუნა დიდ გაჭირვებას განიცდიდა უსახსრობის გამო.

კომუნის დამარცხების შემდეგ კ. მარქსი შემდეგს წერდა: **„მუშათა პარიზს თავისი კომუნით ჩვენ მუდამ მოვიგონებთ, როგორც ახალი საზოგადოების წინამორბედს. პარიზის კომუნის გმირებმა ძეგლი აიგეს მუშათა კლასის გულში, ხოლო მათი ჯალათები ისტორიამ მიაკრა სამარცხვინო ბოძზე, საიდანაც მათ ვერავინ მოგლეჯს“.**

მაგრამ კომუნის დაღუპვასთან ერთად არ დაღუპულა ის საქმე, რის განხორციელებისათვისაც იბრძოდენ პარიზის კომუნარები. რის გაკეთებაც ვერ შესძლო კომუნამ, მის შემდეგ მისი იდეები და მიზნები განახორციელა ძლევამოსილმა რუსეთის პროლეტარიატმა 1917 წლის ოქტომბერში.

ამიტომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი საერთაშორისო მუშათა კლასთან ერთად არასდროს არ დაივიწყებს მუშებისა და ღარიბი გლეხობის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა სახელებს და ყოველთვის მოიგონებს პარიზის კომუნას, როგორც მუშური ხელისუფლების შექმნის პირველ ცდას.

ბ. რ.

გამოვაცოცხლოთ კედლის გაზეთები

კედლის გაზეთი კოლექტივში უნდა წარმოადგენდეს სარკეს, რომელშიც კოლექტივის ყოველ წევრს და არა წევრს შეეძლება ჩაიხედოს და დაინახოს კოლექტივის მუშაობა. ამასთან კედლის გაზეთი ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ იზიდავდეს მკითხველს როგორც თავისი შინაარსით, ისე გარეგნობით.

არის შემთხვევა, როდესაც კედლის გაზეთში თანამშრომლობს 2-3 პიონერი. მაგ.: სამტრედიის კოლექტივში გამოიცა კედლის გაზეთი, რომელშიც იყო სულ სამი წერილი. ორი მათგანი იყო დაწერილი ერთი პიონერისაგან და ერთიც მეორისაგან. არც ერთი სურათი! სათაურიც კი არა ჰქონდა. ასეთი გაზეთი, ცხადია, ვერ გაამართლებს თავის დანიშნულებას.

არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც გაზეთი ნორმალური სიდიდისაა, წერილებიც საკმაოა, პიონერთა საკმაო რიცხვიცაა ჩაბმული შიგ, მაგრამ მაინც „რაღაცა“ აკლია. ამ „რაღაცის“ კარგი მაგალითია ქუთაისის ერთ-ერთი კოლექტივი. კოლექტივს და ა. ლ. კ. კ. უჯრედს ერთი ბინა აქვთ. შევდივართ ამ ბინაში. მარცხენა კედელზე აკრულია გაზეთები, მარჯვენა კედელზე სამი გაზეთი ჰკიდია. ყველა წავედით იქით. გაზეთები პატარაა, წერილებიც აგრეთვე. თითო წერილზე მოხდენილი სათაური, ნახატები ლამაზია, მხიარული საღებავებით. საუცხოვოა, მაგრამ... ზევით აწერია „ა. ლ. კ. კ. უჯრედის ორგანო“. თქვენი სადაა?—მარცხნივ! მარცხნივ გაზეთები უფრო მოზრდილია, სამაგიეროდ წერილები დაწერილია „გახუნებული“ მელნით, სურათები დახატულია ფანქრით, სათაური ვიწრო და გრძელია. და აი, ეს „რაღაცა“ არის გაზეთის გარეგნული მხარე.

თუ გაზეთი მკითხველს არ იზიდავს, თავის მიზანს ის ვერ მიაღწევს.

არის უარესი შემთხვევები. ტფილისის ორგ. ლენინის რაიონში ჩაატარეს კონკურსი უკეთეს კედლის გაზეთზე. ერთ-ერთი კოლექტივის გაზეთმა მიიქცია საერთო ყურადღება. მართლაც საუცხოვო გაზეთი იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გაზეთს მიანიჭეს პირველი ჯილდო. მეორე დღეს რაიბიუროში შემოდის განცხადება. გამოარკვიეს და, სამწუხაროდ, შემდეგი გარემოება აღმოჩნდა: თურმე სამი დღეღამე თვით **კოლექტ. ხელმძღვანელი მარტო წერდა და ხატავდა ამ გაზეთს, რაც აღნიშნულ ორ შემთხვევაზე უარესია. გაკიცხვის ღირსია ასეთი ხელმძღვანელიც და კოლექტივიც.**

მაშ როგორი უნდა იყოს კედლის გაზეთი?

კედლის გაზეთი უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს მასიური. მის მუშაობაში ჩაბმული უნდა იყოს, შეძლებისდა გვარად, მთელი კოლექტივი. ზოგმა უნდა წეროს წერილები, ზოგმა ხაზოს, ზოგმა ხატოს, ზოგმა შეასწოროს, ისე რომ კედლის გაზეთის ყველა ცალკე № კოლექტიური შრომის ნაყოფი იყოს. თითოეულ წერილს თითო სურათი მაინც სჭირდება. სათაური — დიდი და მოხდენილი. ფერები უნდა შეირჩეს უფრო ცოცხალი. წერილები უნდა იყოს მოკლე და გასაგები. გაზეთი არ უნდა იყოს 2-3 მეტრი (არც ერთი ციდა, ცხადია) საშუალოდ მიღებულია $1^1/_2$ მეტრი სიგრძე და 1 მეტრი განი.

წერილები არ უნდა იყოს მუდამ ერთიდაიგივე — „ჩინეთის რევოლუცია“ და „გაფიცვები ინგლისში“. გაშუქებულ უნდა იქნეს კოლექტივის და მის ახლო მყოფი მიდამოების ცხოვრებაც. კედლის გაზეთში სასურველია შემდეგი განყოფილებები: მოწინავე (მარტივი და მოკლე წერილები საერთაშორისო მდგომარეობიდან და „ჩვენი ძმები საზღვარგარეთ“), 2. კოლექტივის ყოფაცხოვრება (კოლექტივის მუშაობა, სკოლაში მუშაობა, ნაკლი, მიღწევები, პიონერი და ოჯახი, პიონერი და ქუჩა და სხვა), 3. ჩვენი უფროსი ძმები (აქ განმარტებული უნდა იქნეს მოკლედ და მარტივად პარტიისა და კომკავშირის ცხოვრება, მათი უახლოესი ამოცანები, მათი ხელმძღვანელობა და სხვა), 4. ჩვენი შემოქმედება (პიონერთა ლექსები, პატარა მოთხრობები, ფელეტონი, გამოგონებანი და სხვა), 5. გასართობი (შარადები, გამოცანები, შარჟები და სხვა).

კოლექტივს შეუძლია შეიტანოს თავისი დამატებანი და გამოკლებანი, მაგრამ **ძირითადად აღებული უნდა იქნეს აღნიშნული განყოფილებანი.**

მ. ელიჯარაშვილი.

ა

— გთხოვთ!..

— გვიამბეთ!..

— ჰო, მასწავლებელო!..

მოესმა ნუცას მოწაფეთა ხმა და შემოეხვიენ გარს.

— თუ გინდათ, დღეს ერთ პატარა ამბავს გეტყვით პარიზის კომუნის დროიდან, თუ როგორ იბრძოდენ დიდებთან ერთად თქვენხელა ბავშვები.

მოწაფენი გარს შემოუსხდენ.

ნუცამ დაიწყო:

— ეს იყო 1871 წელს, როდესაც პარიზის მშრომელმა ხალხმა ჩამოაგდო ძველი მთავრობა და 18 მარტს გამოაცხადა კომუნა...

ბურჟუაზიულმა მთავრობამ, რომელიც ტიერის მეთაურობით გაიქცა პარიზის ახლოს მდებარე ძველ სატახტო ქალაქ ვერსალში, შეკრიბა ჯარი და შემოუტია კომუნას, რომელიც ისე ძალიან უყვარდათ პარიზელ მუშებს...

ყველა გამოვიდა კომუნის დასაცავად: კაცი, ქალი, მოხუცი და ბავშვი; ყველამ იარაღი აიღო და ქუჩებში ბარიკადები ააგეს; პარიზის ფორტებზე — პატარა ციხეებზე — წავიდენ ლურჯხალათიანი მუშები, რომ ვერსალელები არ შეეშვათ პარიზში...

ერთ-ერთ ფორტზე იყო დურგალი ემილ მორენო მეზარბაზნედ; რადგან მას ცოლი აღარა ჰყავდა, თავისი პატარა ვაჟი ლუი თან წაიყვანა; თუმცა სურდა მეზობლებთან დაეტოვებია, მაგრამ ვის ეცალა მისთვის?!

ყველა საბრძოლველად იყო გასული, და ლუიც აედევნა მამას თავისი პატარა დაფით, რომელიც მას აჩუქა მოხუცმა ლეონ კორნიემ, ნაპოლეონ ბონაპარტის ნაჯარისკაცალმა.

ბ

ადრიანი გაზაფხულის დილას, რა ირაჟრაჟა და მაისის მზემ თავისი სხივები გადმოაფინა ფორტს, რომელიც ვერსალიდან პარიზში მომავალ გზაზე იყო, — ერთი კვირის უძინარი და მშიერი კომუნარები მაინც ფხიზლობდენ, რომ მტერი მოულოდნელად არ დასცემოდათ; მხოლოდ ლუის ეძინა ვაზნების ყუთზე, და მემუსიკე ჟორჟი კი თან წამოეიღებულ თავის ვიოლონს აკვნესებდა...

ცივი იყო დილა, და სიოს მოჰქონდა ბაღებიდან და მინდვრებიდან ვარდის, იის და იასამნის სურნელება...

მზის სხივთა ისრები აპობდენ წინადღე და ღამით განუწყვეტელი სროლით დამდგარ დენთის, — თოფის წამლის – ბოლის ნისლს, და ჰაერი ასაფეთქებელ ნივთიერებათა სუნით იყო გაჟღენთილი...

ფორტის დამცველებს აღარ ჰქონდათ საჭმელი და ვაზნებიც შეუმცირდათ; პარიზზე მოწყვეტილი იყვნენ და დახმარებას ვილარ იღებდენ; რიგებიც გამოაკლდათ, მაგრამ ლუის მამა და ოთხი სხვა ისევ მედგრად იცავდენ ფორტს...

ლუის მამა ჯიბეში შემონახული რამდენიმე კვნიტი შაქრით-ღა კვებავდა შვილს, რომელსაც ეხლა,—წუხელის მამასთან ერთად ზარბაზანთან მორიგეს, — ეძინა დაფდაფზე თავმიდებულს...

პატარა ლუი არ შორდებოდა მამას და, რა იხ სროლას იწყებდა, ყუმბარებს მოაგორებდა ზარბაზანთან და თოფის მსროლელებს კი ვაზნებს აწვდიდა...

ვერსალელთა ყუმბარები ანგრევდა ფორტს და ხოცავდა კომუნარებს, რომელნიც სიკვდილის წინ იძახდენ:

— გაუმარჯოს კომუნას!..

პატარა ლუი უყურებდა ყველა ამას და, თუმცა არ იცოდა რას ნიშნავდა კომუნა, ერთს კი გრძნობდა: რომ ვერსალელები არიან კომუნარების მტრები; ვერსალელები არიან მდიდრები და კომუნარები კი ღარიბნი, როგორც მისი მამა, ემილ მორენო...

ლუი იქცეოდა ისე, როგორც დიდები, და მათთან ერთად იტანდა გაჭირვებას...

— რაა, ჟორჟ, შენი ვიოლონი აქაც წამოგიღია? — შეეკითხა ღიმილით ლუი, რა შორეულმა სროლის გუგუნმა გამოაღვიძა.

— რას იზამ, ჩემო პატარა მეგობარო, მე და ჩემი ვიოლონი ერთად ვიხოვრობდით და, ალბათ, ერთადვე დავიმარხებით... — მიუგო მან და თავზე ხელი გადაუსვა.

— ჰო, თუ დამარხვა მაინც გეღირსა და ასე არ დარჩი ყვავ-ყორნების საძიძგნად... — უთხრა ღიმილით როზეტამ, მრეცხავმა ქალმა, რომელიც აქ სათნოების დად იყო, და იქვე დასვენებულ, გუშინ დახოცილ სამ კომუნარზე მიუთითა და ემილს შუბლის ჭრილობაზე მალამოს გამოცვლა დაუწყო...

— საცოდავი ანდრე, ჟაკო, ლუსიენ .. გუშინ ეგენიც ჩვენსავით ხუმრობდენ, იბრძოდენ და დღეს კი... — წარმოსთქვა ემილმა მწუხარედ და ჩიბუხს მოუკიდა.

— ძალიან გტკივა, მამა, ჭრილობა? — შეეკითხა ლუი და ყელზე მოეხვია...

— არა, შვილო... კომუნისთვის ბრძოლამ ტკივილები არ იცის... ეს კი არა და, აი მაშინ კი მეტკინება გული, შენ რომ არ აღიზარდო ჩემი ღირსეული მემკვიდრე და ვერსალელები ეშაფოტზე არ აიყვანო... — მიუგო და მკერდზე მიიკრა...

გ

რა ვერსალელები იერიშებს შეაჩერებდენ და კომუნარები დროებით მოისვენებდენ, ეთამაშობდენ ლუის და ზოგი თოფის სროლას ასწავლიდა, ზოგი დაჭრილთა მოვლას, ჟორჟი რევოლუციონურ სიმღერებს და მამა კი ზარბაზნის გატენას, პატრუქის მოკიდებას, გასროლას...

— შენ ხომ პატარა კომუნარი ხარ? უნდა ისწავლო ბრძოლა და კომუნის დაცვა. — ეუბნებოდა კალატოზი ჟოზეფი.

— ეგ ჩვენი კომუნის ყვავილია... — დაატანდა როზეტა.

— დეე, მაგან მაინც იცოცხლოს და გადასცეს მომავალ თაობას, თუ როგორ იბრძოდენ კომუნარები... თუ ლამაზ გამარჯვებას ვერ ვაჩვენებთ, უულამაზეს სიკვდილს მაინც ნახავს კომუნისათვის. — იტყოდა ხოლმე მღებავი ლერბე.

— თუ, ვინიცობაა, შვილო, ჩვენ ყველანი დაგვხოცეს და ცოცხალი გადარჩი, შენ უნდა განაგრძო ბრძოლა და ალიზარდო შურისძიებად... — უთხრა მამამ და ქოჩორი გადაუვარცხნა თითებით.

— მესმის... მე პატარა კომუნარი ვარ!.. — მიუგო ლუიმ და ჯიბეში ხელებჩაწყობით ამაყად გაიარ-გამოიარა.

— შეხეთ, მაშ ნამდვილი კომუნარი არაა?! — წამოიძახა აღტაცებით მჭედელმა პოლმა, რა შეხედა, რომ ლუი ზარბაზანთან იდგა, სინჯავდა, მიზანში იყურებოდა და ვერსალელების ბანაკისკენ მუქარით მუშტს იქნევდა...

— ის კომუნა, რომელსაც ასეთი შვილები ეზრდება, განა მოკვდება?! — ჩაილაპარაკა ქუჩაში მოხეტიალე მემუსიკე ჟორჟმა, რომელიც ეხლა ფორტზე იბრძოდა, და კვლავააკვნესა ვიოლონი...

სასიამოდ გაისმა დროებით მიწყნარებულ არეში ნეტარი ბრძოლის ჰიმნი, და ყველა გაიტაცა თავისმა ფიქრმა, და ეს იყო ფიქრი კომუნის დაცვაზე; ნელი ღიღინით აჰყვენ დანარჩენნი, და გაისმა ზუზუნი, რომელიც მოგაგონებდათ მზადებას ქარიშხლის წინ...

მღეროდა პატარა ლუიც...

დ

— იარაღთან!!! — გაისმა საგუშაგოზე მდგარი პოლის ხმა და თოფი მოიმარჯვა, რა ვერსალელებიდან მომავალი ორი მხედარი შეამჩნია; მოეწზადენ სხვებიც; ემილმა პატრუქი გაასწორა ზარბაზანზე; ლუიმ თავის დაფდაფს დაუწყო ცემა, როგორც ნასწავლი ჰქონდა, რა მტერს შეამჩნევდა, რომ შეეტყობინებია კომუნარებისთვის...

— არ ესროლოთ... თეთრი ნიშნები აქვთ მკლავებზე და თეთრი ფერი ხომ მშვიდობიანობის ნიშანია; პარლამენტიორები არიან და, ალბათ, მოსალაპარაკებლად მოდიან... — გააფრთხილა ემილმა ამხანაგები.

— ხომ გეუბნებოდით, რომ ვერსალელები ბოლოს მაინც დამარცხდებიან და შეურიგდებიან მეთქი ჩვენს კომუნას!.. — წამოიძახა მემუსიკემ და ქუდი თოფზე წამოაგო, მაღლა აათამაშა სიხარულით...

ელოდენ ვერსალელებს ფორტზე უძილონი, მშივრები, მაგრამ კომუნისათვის მაინც თავგანწირული მებრძოლნი, და პატარა ლუი, ყველას სათაყვანებელი, თუ საჭირო იქნებოდა, ელოდა ნიშანს დაფდაფზე დასაკრავად, მებრძოლთა დასაძახებლად...

— ვინაა ამ ფორტის უფროსი? — იკითხა ფორტის წინ გამოჩენილმა ლეიტენანტმა, რომელსაც უკან ჯარისკაცი ახლდა ბუკით...

— მე! — მიუგო ემილმა.

— გენერალ მონტოდონის ბრძანებით წინადადება გეძლევათ დაგვნებდეთ, იარაღი დაყაროთ და ფორტი ჩაგვაბაროთ! პასუხისათვის ხუთი წუთის ვადას გაძლევთ!.. — უთხრა ლეიტენანტმა.

დროებით სიჩუმე ჩამოვარდა...

— ამხანაგებო, თქვენი პასუხი? — ცოტა სიჩუმის შემდეგ შეეკითხა ემილი.

— გაუმარჯოს კომუნას!.. — შესძახეს ყველამ ერთად და თოფები მაღლა აათამაშეს,

ვერსალელები გაბრუნდენ...

ცოტა ხნის შემდეგ მათი ბანაკიდან ბუკის და თოფის ხმაური მოისმა.

— ეს იერიშის ნიშანია!.. ალბათ, მალე დაიწყებენ შემოტევას და მზად იყავით.

— მზადა ვართ!!!

— ყველა თავ-თავის ადგილზე!..

ასტყდა ზარბაზნების და თოფების ჭექა-ქუხილი ორივე მხრით...

ლუი კი ვაზნებს აწვდის, ყუმბარებს მიაგორებს...

ე

— გაუმარჯოს კომუნას! — შესძახა სასიკვდილოდ დაჭრილმა ემილმა სწორედ ის დროს, როცა უკანას ნელი ყუმბარა შედო ზარბაზანში და პატრუქს ველარ მოუკიდა, (ქვე) ჩაიკეცა...

— მამა!.. — შეჰყვირა ლუიმაც და შემოეხვია.

— ლუი... კომუნა... შურისძიება... — ეს-ღა გაიგონა მომაკვდავი მამისაგან.

უკანასკნელად ემილი დაეცა. ფორტი ჩაჩუმდა. ვერსალელთა ყუმბარები მაინც სცემდა...

მერე გამეფდა სიჩუმე. ლუი, რომელსაც თავიდან სისხლი სდიოდა, იდგა მარტო, სისხლში მოცურავე კომუნართ შორის, ჯერ ვერ მოსულიყო გონს და, რა ვერსალელთა ყიჟინა გაიგონა, რომელნიც, რა დარწმუნდენ, რომ ფორტი ველარ ეწინააღმდეგებოდა, იერიშზე წამოვიდენ, — ყურში თითქოს რაღაცამ დასწივლა, მოიკრიფა ძალა, წამოდგა, შეხედა, რომ ვერსალელები მოდიოდენ და აქ გაახსენდა კომუნარების დარიგება, მამის სიტყვები, ეცა პატრუქს...

ფინთიხით გატენილმა ზარბაზანმა მაშინ იგრიალა, როცა ვერსალელები უკვე ფორტს მიუახლოვდენ, რითაც ბევრნი დაეცენ...

უკან დაიხიეს უთავბოლოდ... სროლა აუტეხეს ფორტს, რომელსაც უკანასკნელი დარაჯი ლუი-ღა იცავდა...

მათ ეგონათ, რომ კომუნარებმა მოიტყუეს...

— გაუმარჯოს კომუნას!.. — შესძახა ლუიმ, რა ზარბაზანზე შიხტა და გაქცეულ ვერსალელებს სიმღერა დააყარა...

სიმღერა დაიწყო ისე, როგორც ძია ჟორჟმა იცოდა ხოლმე, რომელიც თავის ვიოლონის ნამსხვრევებზე ეგდო და თოფი ხელში შესციებოდა...

— მომყევით!!! — უბრძანა ლეიტენანტმა ჯარისკაცებს და, გულმოსული, რომ ფორტზე ბავში-ღა ჩანდა და მან გააქცია, ხმალამოღებული აიჭრა ფორტზე...

ვ

— როგორ?! ეს თხუნელა გვებრძოდა?! ამან დაგვახევინა უკან?!? — იყვირა სიბრაზით ლეიტენანტმა, რა ყველა კომუნარი დახოცილი დახვდა და ლუი-ღა შენიშნა ზარბაზანთან ჭრილობით მისუსტებული.

— მე კომუნარი ვარ!.. — მიუგო ლუიმ ამაყად, რა გასწორდა, და ხელები გულზე გადაიჯვარედინა.

ლეიტენანტმა გადაიხარხარა და ამ დროს ჯარისკაცებმა ხიშტებზე ააგეს ლუი, რომელმაც შესძახა:

— გაუმარჯოს კომუნას!!!

— რა ჰქენით?! ეს მაინც წაგვეყვანა ტყვედ და გვეჩვენებია გენერლისათვის!.. — უთხრა ლეიტენანტმა თითქოს წყენით...

— მაშ რაა... მაგან კი ცოტანი დახოცა ჩვენები?!? — ჩაილაპარაკა სერჟანტმა ბუზღუნით.

ლეიტენანტმა ხელი ჩაიქნია და არხეინად ფეხი ზარბაზნის გოგორაზე შესდგა, პაპიროსს მოუკიდა, კმაყოფილებით გააბოლა...

— აი როგორ იბრძოდენ, ჩემო პატარა მეგობრებო, თქვენი წინაპარი ბავშები პარიზის კომუნის დროს...

დაათავა ნუცამ და ადგა...

ბავშები ჩააფიქრა ამ ამბავმა...

— ჩვენ თავს ვიხრით მათი ხსოვნის წინაშე!.. ჩვენ დავამთავრებთ მათ მიერ დაწყებულ საქმეს!

წარმოსთქვეს ერთხმად.

ნუცა სიამით იღიმებოდა...

ხეზმან ერთაწმინდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზის კომუნა

დღესაც მაოცებს მათი განწირვა
და შებრძოლების მტკიცე უნარი,
ბარიკადებზე ვინც რომ დასჯილა,
როგორც მებრძოლი და კომუნარი!

ო, როგორ მინდა ახლოს ვხედავდე
მიდამოს, მაშინ სანგრებად გაშლილს,
სად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე
თავგამოდებით იბრძოდა ბავშვიც!..

მოწოდებები მტკიცედ ისმოდა:
— იბრძოლე, ხალხო! კომუნა გიშველის!
მებრძოლ ქალების რიგს მიუძღოდა
სახემრისხანე ლუიზა მიშელ!..

ცაზე ეკიდა ღრუბლები თალხი,
ქუხდა პარიზი და თან კიოდა.
ბარიკადებზე იბრძოდა ხალხი
და სხეულიდან სისხლი სდიოდათ!..

ოჯახში ქალიც აღარ რჩებოდა.
— დედავ, ნუ მიხვალ!
— დედილო, დარჩი!
— არ შემიძლია! მსურს მივეშველო
ჩვენს მებრძოლ რიგებს, მტრებისგან დაშლილს!

ამგვარ მედგარ და გადამწყვეტ ბრძოლით
დამარცხდა მტერი ჯალათი, გულქვა!
პარიზი აღსდგა წითელი დროშით,
პარიზი მტრისგან განთავისუფლდა!

მშრომელმა ხალხმა დაღვარა სისხლი
და მიაღწია დასახულ მიზანს!
ბოლოს-კი მტერი მოადგა ირგვლივ,
ვერ იარსება კომუნამ დიდხანს...

ქუჩა გადიქცა ბარიკადებად,
თოფებმა ისევ დაიგრიალეს!
სენას ერთვოდა სისხლი ღვარებად
და წითლდებოდა მასგან მდინარე...

მტრების გვარდია იბრძოდა მტკიცედ,
მათი ნატვრა და ნება ასრულდა!
პარიზი ისევ მტრებმა ჩაიგდეს,
პარიზი ისევ სისხლში აცურდა!..

თუ გაიწირა პარიზის მხარე,
დაირღვა მათი მტკიცე რიგები!
საბჭოთა ხალხი აღსდგა მრისხანედ
ძველ ქვეყნისადმი შურისძიებით.

ალ. ადამია

სტამბის მუშები

დილა-ადრიან საყვირის ხმაზე
მშრომელი ხალხი წამოიშლება,
დიდი, პატარა ფეხზე ადგება,
წყნარი ქუჩები ახმაურდება...
მშრომელთა დიდი უმრავლესობა
მიესწრაფება სამუშაოზე.
სუყველა ცდილობს არ დააყოვნოს
და გამოცხადდეს თავ-თავის დროზე...

სტამბის მუშებიც ნაწილდებიან,
საქმეს სუყველა მედგრად უდგება,
ასოთამწყობი საბწკრებში აწყობს,
იქეთ მანქანა ახმაურდება.

ერთი ამწყობი თავის კასასთან
მეორე ამწყობს დაეჯიბრება:
„აბა, ჰა, ვნ ხოთ, ვინ მეტსააწყობს!“
ასეთი შებმა ეხალისებათ...

კვლავ ხელოსანი გვერდებს შეავსებს
და რიგ-რიგობით აწვდის მანქანას,
ისევ სისწრაფით გამობრუნდება
და ეძებს კიდევ ახალ მასალას...
მემანქანენი აწყობილ გვერდებს
მოამზადებენ დასაბეჭდავად,
და შემდეგ ქაღალდს მიაწოდებენ,
მანქანაც ბეჭდავს მუდამ ერთთავად.

დაბეჭდილ ქაღალდს მანქანას ართმევს
საამკინძაო განყოფილება,
იქ ხომ მუშები წიგნებს კინძავენ,
ფურცლები ხშირად აშრიალდება.

საქმის მოხელე კვლავ უთვალთვალებს—
გვერდი გვერდს მიყვეს, როგორც წესია,
საქმეს თვალყური მუდამ სჭირდება,
არ გაფუჭდება, უკეთესია.

სტამბაში მუდამ ასე იყოფენ
შრომას მუშები ყველა ხელობის,
გვაწვდიან წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს—
გზას განათლების და წინსვლელობის!

ია ჯიბლაძე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲑᲐ

ყველასათვის ნათელია ახლა, თუ რას წარმოადგენს სტამბა და როგორ პირობებში უხდებათ მუშებს მუშაობა.

მთავარი საკითხი ის არის, რომ სტამბაში მუშაობა ძალიან მავნებელია მუშებისათვის, ვინაიდან ასოები ტყვიის არის, და ტყვიის მტვერი ძალიან ცუდად მოქმედობს ადამიანის ფილტვებზე.

თვითმპყრობელობის და მენშევიკების დროს აუტანელ პირობებში უხდებოდათ მუშებს მუშაობა, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არავინ ზრუნავდა. ძალიან ბევრი სტამბა ბნელ სარდაფებში იყო

ძველად სტამბის მეპატრონეები არ კმაყოფილდებოდენ მუშების ასეთი ექსპლოატაციით და ახალგაზრდა მოწაფეებს შინაც კი აკეთებინებდენ სხვადასხვა საქმეს.

დღეს თუ ახალგაზრდა მოწაფეს არ შესრულებია 16 წელი, ის ექვს საათს მუშაობს და ამ ექვს საათში ორი საათი მხოლოდ სამაკადინოდ არის გადადებული და ოთხ საათს კი საერთო საქმეს აკეთებს.

დღეს უკვე არ შეიძლება მოსწავლე ახალგაზრდობა დაავადმყოფდეს ფილტვების სისუსტით და ან



პიონერები საზეინკლო დაზგასთან

მოთავსებული და მუშაობის შემდეგ რომ დაგენახათ მუშები, არცერთს ადამიანის ფერი არ ჰქონდა და თითქმის ყველანი დაავადებული იყვნენ ფილტვების სისუსტით. საერთოდ სტამბის მუშები მოწინავე მუშებად ითვლებიან, მაგრამ მენშევიკებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და არ უზრუნიათ მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დღეს კი სხვა სურათს ვხედავთ: სტამბის მომუშავეებს დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა ხელისუფლება მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, აძლევს რაც შეიძლება სინათლიან და მშვიალ შენობას. დიდი ყურადღება არის ჰიგიენური მხრითაც მიქცეული, რაც სტამბის მუშების ჯანმრთელობისათვის აუცილებელია.

წინათ თუ მოსწავლე ახალგაზრდობას უხდებოდა მუშაობა სხვებთან ერთად 10-12 საათი, ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, მოსწავლე ახალგაზრდები 4-6 საათს მუშაობენ.

ბნელ სარდაფებში გამოიხრჩოს. წარმოება რძეს აძლევს მუშაობის დროს, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოწაფეებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შესრულებიათ 18 წელი, არ იმოქმედოს ტყვიის მტვერმა.

წინათ თუ სტამბის მუშები ზანტად მოდიოდენ სამუშაოზე და არავითარი ხალისი მათში არ იყო საქმისადმი, ეს იმიტომ რომ ვერ იტანდენ ისეთ მდგომარეობას, როგორიც იყო მაშინ: ბნელი სამუშაო ბინები, უსუფთაობა და უყურადღებობა, ეხლა კი დაინახავთ, რომ დღით მუშები სიხარულით ეგებებიან საქმეს და კმაყოფილი გადიცვამენ სპეც-ხალათებს, ენერგიულად ეგებებიან თავის მოვალეობას. ძველად მუშა მხოლოდ იმისთვის მუშაობდა, რომ ცოტად თუ ბევრად დაეკმაყოფილებია თავი და ცოლ-შვილი, ეხლა კი მუშა, რასაკვირველია, მუშაობს თავის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ის ხალისით და ენერგიულად აკეთებს აგრეთვე საზოგადო საქმესაც, ზრუნავს საერთო საქმის გასაუმჯობესებლად.

შ. ესებუა

პიონერთა კედლის გაზეთების შესახებ.

კედლის გაზეთი ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთ-ერთი მებრძოლი ორგანოა, რომელიც ირგვლივ იკრებს მასების შეგნებულ ნაწილს და ემსახურება საბჭოთა აღმშენებლობას. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია კედლის გაზეთების სიმრავლე. არ არის ისეთი კოლექტივი, ისეთი უჯრედი, სადაც კედლის გაზეთი არ გამოდიოდეს.

მაგრამ ზოგიერთი ამხანაგისთვის კედლის გაზეთების მნიშნელობა ჯერ კიდევ გაუგებარია. როგორც ცენტრალური ბეჭდვითი გაზეთები, ისე კედლის გაზეთიც, ხალხის მოთხოვნილებებს ემსახურება. კედლის გაზეთში სწერენ ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე. მას აქვს რამდენიმე განყოფილება. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია წერილები, მეორეში—ლექსები და ფელეტონები, მესამეში — იუმორი. ზოგიერთ გაზეთებს განყოფილებები სრულიადაც არა აქვს.

ზოგიერთმა კოლექტივებმა არ იციან, თუ რა უნდა იწერებოდეს გაზეთში და იმის მაგივრად, რომ ყოველდღიურ საქმიანობაზე სწერონ, გაზეთის ფურცლებს ლექსებითა და მოთხრობებით ავსებენ (მაგალითად, 9, 26, 29 შრომის სკოლის კოლექტივები). ჩვენ ამით არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ლექსების ჩაწერის წინააღმდეგი ვიყოთ, მაგრამ არც იმის მომხრე ვართ, რომ მთელი გაზეთი ლექსებმა დაიჭიროს.

გარდა ადგილობრივი შინაარსის წერილებისა, კედლის გაზეთში შეიძლება მოთავსდეს ისეთი საყურადღებო წერილები, რომელიც ამოღებული იქნება ბეჭდვითი გაზეთებიდან ან ჟურნალ-წიგნებიდან, მხოლოდ კედლის გაზეთში გადაიწერება შესწორებით, რომ ყველასათვის გასაგები შეიქნეს.

ყოველივე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც განხილული იქნება კოლექტივში ან ბიუროში, გაზეთის ფურცლებზე უნდა გამოქვეყნდეს. უნდა იმართებოდეს კამათი რომელიმე საყურადღებო წერილის შესახებ (წერილობითი და სიტყვიერი), უნდა გამოქვეყნდეს იმ ამხანაგებ ს სია, რომელნიც ზარმაცობენ, ან მუშაობაში დანარჩენ ამხანაგებს ხელს უშლიან — მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაზეთმა მიაღწიოს თავის მიზანს.

არის შემთხვევები, როდესაც კედლის გაზეთები მასალების კრიზისს განიცდიან. ამაზე კი რედკოლეგიამ უნდა იზრუნოს. რედკოლეგია მარტო მასალების შერჩევასა და გაზეთის გამოცემაზე კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ კედლკორთა ორგანიზაციულ დარაზმვასაც უნდა მიაქციოს ყურადღება, რომლისგანაც რედკოლეგია მასალებს მიიღებს თავის დროზე.

არა ნაკლები მნიშვნელობისაა გაზეთის მხატვრული მხარე.

გაზეთი უნდა იცემოდეს სუფთად, რომ მკითხველის მიზიდვა შეიძლებოდეს. არაფრად არ ვარგა ისეთი გაზეთი, რომელშიც სურათები და კარიკატურები არაა, — ასეთი გაზეთით მიზანს ვერ მივაღწევთ. კედლის გაზეთის თავზე და ფურცლებზე დახატული უნდა იყოს ჩვენი აღმშენებლობის სურათები, და არა მეთორმეტე საუკუნის ჯაჭვ-მუზარადიანი მეომრები, როგორც ამას მე-23 კოლექტივი სჩადის. ნახატების ფერები მაინცდამაინც არ უნდა იყოს ჭრელი და არეული.

თვითონ გაზეთი ბეჭდური ხელთნაწერით უნდა იწერებოდეს. ასოები უნდა იყოს მრგვალი და მომსხო, ამასთან სიმეტრიულად გაწყობილი — თუ სიმეტრია დარღვეულია, მაშინ ამოსაკითხავად მეტი ხედვითი ენერგია გვეხარჯება, რაც, რასაკვირველია, არ არის სასარგებლო. სათაურები საჭირო არ არის დაიწეროს ჩხირკედელაობით, მხოლოდ განსხვავება უნდა არსებობდეს სათაურსა და ტექსტს შორის.

თუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირობას დავიცავთ, მაშინ მიზანსაც მივაღწევთ, მაგრამ მიზნის მისაღწევად არა კმარა სიტყვა და შენიშვების წერა, საჭიროა ბრძოლა შენიშვნების კონკრეტული მიღწევებისათვის.

ა. ბ.

ჩადრი

ჩადრი მოიხსნა აჭარელ ქალმა,
ჩადრი — სიბნელე, სიმგლოვიარე.
მორცხვი თვალები გაახილა მან,
იხ ლა მზე და საბჭოთა მხარე.
მისი უჩადრო ლამაზი სახე
გაზეთ „ფუხარას" ფურცლებზე ვნახე.
უჩადრო არი ხულო და ქედა,
მრავალი ქალი დადის თავლია.
კომკავშირელის მოხუცმა დედამ
ერთ-ერთ მიტინგზე ჩადრი დახია.
თემში ახალი ყოფა ჩასახლდა,
მოხუცი ქალიც უჩადრო გახდა.
არ უხდებოდა ჩადრის ტარება,
ქოხში ჩაკეტვა, დარჩენა ობლად.
ეხლა უჩადროდ დაიარება
თუ რამე კრება შედგება სოფლად.
გამოჩნდა სახე — მთოვარე ბადრი,
როცა ასულმა მოიხსნა ჩადრი.
იყო ლამაზი და შესაბრალი,
ჩადრით მიმოსვლა გულს უსერავდა.
დღეს კი მშრომელი უჩადრო ქალი
არჩეულია საბჭოს წევრადა.
უჩადრო ქალო პირიმზიანო,
საბჭოს სხდომაზე არ იგვიანო...
ჩადრი მოიხსნა აჭარელ ქალმა,
ჩადრი — სიბნელე, სიმგლოვიარე.
მორცხვი თვალები გაახილა მან,
იხილა მზე და მშრომელთა მხარე.
მისი უჩადრო ლამაზი სახე
გაზეთ „ფუხარას" ფურცლებზე ვნახე.

ვარლამ ფურული.

კუსალა

ვინ არ იცნობს კუსალას, მუდამ მხიარულსა და მოღიმარ ყმაწვილს!..

ეს ხომ ნავსადგურის ღვიძლი შვილია: სად გინდა, რომ ის არ ნახოთ: ბოლაზისაკენ მიმავალ იალქანში, სათევზაოდ გამზადებულ ნავებთან, ნავსადგურის სახელოსნოში და სამმართველოში.

მას ყველა იცნობს, იციან, რომ ის ერთი უთვისტომო ბავშვია, ეხლა „კუსალად“ წოდებული.

იციან, რომ ის ნავსადგურში სულ ბალღი დაუტოვებიათ. თოვლში და ყინვაში გათოშილი ბავში შეიფარა დარაჯმა მოხუცმა პეტრემ.

პეტრეს კაცთმოყვარეობას სხვებმაც მიბაძეს: ეხმარებოდენ ბავშს, და ისიც იზრდებოდა და ყველას მადლიერი და მხიარული თვალებით ეღიმებოდა.

ის ეხლა უკვე ცამეტი წლის წელგამართული ყმაწვილია.

მეზღვაურების საღმა ბუნებამ მასშიც დაიმკვიდრა, უქუდოსა და თხელი ჩითის ხალათის ამარას როდი ერიდებოდა წვიმასა და ქარში სიარული.

ის გაჩნდებოდა ყველგან, სადაც დახმარება საჭირო იყო. ის ხომ თოკების ცნობილ გამმართავად ითვლება, ანკესების მლესავადაც, ღელვის დროს რეიდზე მდგომი გემებისათვის სურსათის მიმწოდებლად, გემების ანძებზეც ხომ ციყვივით მიხტოდა.

მას აც სხვა რამ ავიწყდებოდა — საღამოობით მეზღვაურთა კავშირის კლუბის მუდმივი სტუმარი იყო.

ყველა საღამო-წარმოდგენაზე და ლექციაზე ცმუკავდა, ღელავდა, სხვებსავით საუბარსა და საკუთარი ნაამბრევის გამოთქმას ლამობდა.

მის ბავშურ გონებაში სიფრთხილით ლაგდებოდა ჩვენი ცხოვრების ყველა საკითხი, ის თანდათან გაიგებდა, რომ ქვეყანა ორად გაიყო: ერთის დროშაზე აწერია **ს. ს. რ. კ.**, მეორე ქვეყნისასკი ვინ მოსთვლის, ისინი ხომ მრავალფერია: ყვითელი, თეთრი, შავი, და ლურჯი,— მას ხომ ისინი ნავსადგურში შემომავალ უცხო სახელმწიფოთა გემებზე მრავალჯერ უნახავს. ბევრიც რამ სმენია მას შავ ზღვას იქეთ მდებარე ქვეყნებზე და მალ ც ნახავს მათ. მაისიდან კუსალას ხომ დიდ საოკეანო გემზე მოწყობას დაპირდენ. წლოვანება რომ არ უშლიდეს ხელს, ის დიდი ხანია მეზღვაური იქნებოდა, მაგრამ ეხლა საქმე საეჭვოდ არაა, კავშირიც დაპირდა, კომკავშირმაც შუამდგომლობა აღძრა, გემის შემადგენლობაც ხომ იცნობს კუსალას.

თუკი მძიმე საუშაოებს არ მიანდობენ, გემის სამზარეულოში მაინც იმუშავებს, გაყვება დიდ გემს და მეზღვაურის საპატიო სახელი ერქმევა.

ოცნებობს კუსალა მაისზე, მაისიც თანდათან უახლოვდება ნავსადგურს და მოყავს დიდი საოკეანო გემი, **საიდანაც ეღიმებიან ნაცნობი დროშა და მეზღვაურები.**

II.

გემ „ლეიტენანტ შმიდტი“-დან საყვირი მესამედ გაისმა...

შავი ქვით დატვირთული საბჭოთა გემი წყლის სიღრმეში ჩაფლულიყო. გემიდან საყვირის ხმასთან ერთად ისმოდა მეზღვაურთა ნაცრისფერი ხმები, კაპიტნის განკარგულებასთან ერთად ირხეოდენ მეზღვაურთა მკლავები, რომლებიც თოკს ჩასჭიდებოდენ.

უცებ გაისმა ღუზაზე მიბმული ჯაჭვის ჩხრიალი, ხმაურმა იმატა, და გემაც უმატა ქშენას.

გემის გარშემო შეგროვილ ცნობისმოყვარე ხალხში ჩოჩქოლი ატყდა:

— აი კუსალაც, — ამბობდა ერთი მათგანი, — როგორ ციყვივით დახტის!

— ძველი მეზღვაურივით ასრულებს კაპიტნის განკარგულებას, — ამბობდა მეორე.

რამდენიმე ყმაწვილი და მათში მოხუცი პეტრეც თვალს არ აშორებდენ კუსალას...

— კუსალა!.. კუსალა!.. — შესძახოდენ მას, და ისიც იღიმებოდა.

გემი თანდათან შორდებოდა ნაპირს. როცა ხმა ვერ მიწვდა ნაპირს, ხელის ქნევა იწყეს. კუსალაც აქნევდა პატარა ხელებს. ის შორდებოდა პატარა ქალაქის პატარა ნავსადგურს და სინანულთან ერთად სიხარულის თბილი ტალღები ეხვეოდა მის პატარა გულს.

ის დღეიდან მეზღვაურია და ისიც საოკეანო გემისა.

გემი თანდათან პატარავდებოდა, ქალაქიც იკუმშებოდა, და მალე გემის უკანასკნელი წერტილიც ჰორიზონტზე შთანთქა.

III.

ექვსი დღეა, რაც ზღვაზე არიან...

მეზღვაურები ცნობისმოყვარე კუსალას ბევრ რამეს უამბობდენ და დროგამოშვებით ხელეს იმ მხარისკენ გაიშვერდენ, საიდანაც ჩანდა ანატოლიის თეთრი ნაპირები: ტრაპიზონი, რიზე, სამსუნი...

გუშინ ისინი სტამბოლს მოშორდენ და გემი „შმიდტი“ ისევ მოუქანცავად ებრძვის ეგეის ზღვის ლურჯ ტალღებს.

— ჰეი... ძმებო, სუეცი გამოჩნდა... წამოიშალეთ!..

მეზღვაურის ამ ზარივით ხმამ ყველანი ფეხზე დააყენა.

კუსალაც მიაწყდა გემის მარჯვენა კედელს, თითქოს ნაპირზე ჩამოსასვლელად ემზადებოდა. მაგრამ მოაგონდა, რომ აქ ისე როდია, როგორც საბჭოთა კავშირში, ნაპირზე საბჭოთა გემიდან არავის უშვებენ, არც არავისთან საუბრის ნებას იძლევიან, გემსაც, ვინ იცის, რამდენჯერ ჩხრეკენ.

გემის შემადგენლობა თანდათან ამოდიოდა გემის ზედაპირზე, სუეცის არხის თეთრი ზოლი აჯადოებდა ყველას.

ნ პირიდან ქარმაც დაბერა, სიცხემ ნელ-ნელა იკლო, ნაპირის სიახლოვემ ყველას მხნეობა მოჰგვარა.

ლურჯისა და ხან კიდევ მღვრიე ტალღებით მოღლილი თვალები ხარბად დაეწაფა ქვებთან ნაპირზე გაშენებულ ყვითელ სახლებსა და პალმების ჩრდილებს.

გემი თანდათან უახლოვდებოდა პორტ-საიდს და სვლას ნელ-ნელა უკლო; ღუზა კვლავ დაეშვა ზღვის სიღრმეში, გემის ანძაზე კი ნელ-ნელა აუშვეს ნამგლითა და ჩაქუჩით აღბეჭდილი წითელი დროშა.

ნაპირიდან სწრაფად გამოქანდა ორი ნავი, განსაკუთრებით მოიჩქაროდა ნავი, რომელზეც ირსეოდა ეგვიპტური დროშა ნახევარმთვარითა და სამი პატარა ვარსკვლავით.

მალე პოლიციის ნავიც მიუახლოვდა გემს, შემოუარა ირგვლივ განსაკუთრებული სიფრთხილით. გემიდან დაეშვა კიბე, და კიბეზე კი ავიდენ ინგლისური პოლიციის სამი მოხელე და ექიმი.

გ სმა კაპიტნის განკარგულება, და გემზე გამწკრივდენ მეზღვაურნი, რომლებიც სათითაოდ გასინჯა ექიმმა, პოლისმენებმა კი სათითაოდ გაჩხრიკეს გემის ყველა ნაწილი.

გემი მიადგა ნაპირს და ჩამოსასვლელ ადგილას დადგენ ინგლისელი პოლისმენები, გემიდან არავინ ჩამოუშვეს და მეზღვაურთა ყოველგვარ მოძრაობას თვალყურს გაფაციცებით ადევნებდენ.

მალე გამოჩნდენ გადამტვირთავი მუშების ჟსიცოცხლო სახენი. აკვირდებოდა კ ალა ყველას და გრძნობდა, თუ რა ძნელი ყოფილა ლუკმაპურის შოვნა ამ პალმებითა და ბანანებით მორთულ მხარეში.

პოლისმენმა იწყო გემზე ამომავალი მუშების თვლა, მათი ისედაც შავი სახენი შავი ქვის მტვერით უფრო გაიმურა, ავსებ ენ რკინის ყუთებს შავი ქვის მძიმე ბელტებით და მათ მონოტონურ მოძრაობაში საუკუნოებით დაგროვილი სევდა ჩანდა.

აკვირდებოდა ყმაწვილი, ინგლისელთა ამაყ გამომეტყველებას და გრძნობდა, თუ რამდენი შეუბრალებლობა იხატებოდა მათ ლითონივით ჩამოქნილსა და ცივ სახეზე.

აკვირდებოდა საბრალო, წელმოხრილ ნახევრადშიშველ მუშებს, და გული სიბრალულით ევსებოდა.

მან ისიც გაიგო, თუ უცხო სახელმწიფოთა ნავსადგურების მუშებში საბჭოთა გემის გამოჩენა რათ იწვევდა სიხარულს.

რამდენჯერ შეუნიშნავს მას უცხო მოქალაქეებში თანაგრძნობით სავსე თვალები და ძმური სალამი. პატარა მეზღვაურსაც სურდა მისალმებოდა მათ, ესაუბრა მათთან, გაეგო მათი მდგომარეობა და ავ-კარგი.

IV.

მეოთხე დღეა.

საღამოვდება...

გემზე ჩვეულებრივი მოძრაობაა.

მეზღვაურები მოუთმენლად ელიან უკანვე გამგზავრებას...

ნახულით და გაგონილით მოქანცული პატარა მეზღვაური აკვირდებოდა სიბნელეში და ბურუსში გახვეულ სივრცეს.

მისი ყურადღება მიიპყრო ბაწრის კიბის უკანასკნელ საფეხურზე წამოსკუპებულმა შავმა ჩრდილმა. ყმაწვილმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და აჩრდილს თავს წაადგა.

ჩრდილი შეინძრა და თავი წამოსწია.

ყმაწვილმა იცნო პატარა არაბის ხუჭუჭა თავი. ის ისევ შეირხა, რაღაც შესძახა და ბაწრის პატარა კიბეს ცახცახით მოებღაუჭა. კუსალა მიხვდა, რომ პატარა არაბი გემზე ამოსვლას ლამობდა, მანაც ჩაუშვა გეზზე გადაკიდებული თოკი და რამდენიმე წუთში გემზე შეუმჩნევლად ამოძვრა ფეხძიშველი ხუჭუჭთმიანი ცამეტი წლის ყრაბი.

ისინი ადვილად დაემალენ პოლისმენების გამოცდილ თვალებს და მეზღვაურთა საერთო ოთახში ამოყუფეს თავი.

შავი ყმაწვილის გამოჩენამ ყველანი გაოგიფხოლა, შემოეხვიენ მას, მოხუცმა მეზღვაურმა ნიკიტამაც თვალები სჭყიტა ამ მოულოდნელი სტუმრის დანახვაზე. ყველამ იგრძნო მოსვლის მიზანი. ხოლო როცა მეზღვაურებს ის ფეხქვეშ ჩაუვარდა, უფრო თვალსაჩინო შეიქნა მისი განზრახვა — ის მათთვის გამ უცნობ ენაზე უცნაურად ლუღლუღებდა, ემუდარებოდა მეზღვაურებს, რომ მათ ქვეყანაში წ ეყვანათ.

მოხუცმა ნიკიტამ ბავშს მიუალერსა, სხვებიც ასევე იქცეოდენ და როდესაც დაამშვიდეს, ერთი მეზღვაური ინგლისურ ენაზე გამოესაუბრა ბავშს...

— შენი სახელი? —შეეკითხა მეზღვაური.

— ალი!.. — მიუგო ყმაწვილმა.

— დედ-მამა თუ გყავს?

— არა.

— რუსეთი გაგიგონია? — ისევ ეკითხებოდენ ბავშს.

ალის ბევრი რამ გაუგონია რუსეთზე და „წითელ კაცებზე“ ადგილობრივი მუშებისა და ფელახებისაგან*). ის თანდათან მშვიდდებოდა და ყველა კითხვაზე სწრაფად იძლეოდა პასუხს.

ალიმ უამბო მათ, რომ მას არავინ ახსოვს — არც დედა, არც მამა, ორივე სიღარიბეს, სიღატაკეს შთაუნთქავს, ახსოვს მხოლოდ და, რომელიც მსხვილ მედუქნეს ჰყავდა, მედუქნემ როცა დუქანი დახურა, ალის და მეორე უფრო მაღალ არაბს მიჰყიდა, ისიც ვაჭრობდა, მასაც ტკბილეულობის დუქანი ჰქონდა, მაგრამ ტუჩების დაკარებას ვერცერთზე ვ ერ ბედავდა.

ალის სცემდენ, მის დასაც, და ორივე სდუმდენ.

„წითელი კაცების“ შესახებ საუბარს ალიმ პირველად დუქანში მოჰკრა ყური.

ალის ერთი თვის უკან მოუკვდა და. მას შემდეგ ასე დაეხეტება ნავსადგურებში.

— ალი, წამოხვალ ჩვენთან? — შეეკითხა მეზღვაური.

ალის სიხარულისაგან თვალები აენთო და კედელს მიეკრა.

— წავიყვანოთ... წავიყვანოთ... — ემუდარებოდა კუსალა ყველას; ნუ დავტოვებთ.

— ძნელი საქმეა.—ამბობდენ გამოცდილი მეზღვაურები,—რომ გაგვიგონ, პასუხს ვაგებთ, გემს დაკაკვებენ.

— თქვენ ყველაფერს შესძლებთ, ძია ნიკიტა. — შეეკითხა კვლავ კუსალა მოხუც მეზღვაურს. ცოდვაა, ჩემ-სავით უთვისტომოა, მის გარშემო კი გულქვა და შეუბრალებელი ხალხია.

— მაშ კარგი, — წაილაპარაკა მოხუცმა. ამ ღამით სამანქანო განყოფილებაში ჩაიყვანე, რიჟრაჟზე კი მე ვიცი.

გახარებული კუსალა ფიცხლავ სწვდა ახლად შეძენილ მეგობარს და გაქანდენ იქეთ, საიდანაც შავი და მაღალი მანქანა ქშინავდა.

გემი მესამედ აგუგუნდა...

ღუზაზე მიბმული ჯაჭვის რგოლებიც აჩხრიალდა...

„ლეიტენანტი შმიდტი“ კვლავ ბრუნდება.

პოლიციის მოხელენი გემიდან ჩამოსვლას იგვიანებენ, თავებს უკმაყოფილოდ აქნევენ. ვაი თუ მიაგნონ პატარა არაბს...

მაგრამ აი ერთი მათგანი გაემართა ჩამოსასვლელი კიბისაკენ, მას დანარჩენებიც აედევნენ...

— ძლივს... ძლივს... გადავრჩით... — ბუტბუტებდა თვალებგაბრწყინვებული კუსალა, ეღიმებოდათ საბჭოთა გემის კეთილშობილ მეზღვაურებს და ქვის ნახშირში გახვეულ შავ ყმაწვილს კი სიხარულის თეთრი ცრემლები სცვიოდა.

განტვირთული გემი ამაყად მიაპობდა ზღვის ლურჯ ტალღებს, რომ მალე მიახლოვებოდა მსოფლიოში ერთადერთი თავისუფალი ქვეყნის ცასა და სანაპიროს.

Გ. Გ.

*) ფელახები — გლეხები.

„ჩვენი ცოცხალი საქმე"

პიონერთა შორის

(ს. ხორგა, ზუგდ. მაზ.)

ზუგდიდის მაზრაში პიონერთა შორის მუშაობა დამაკმაყოფილებელია, რაც უნდა მიეწეროს სამ-ბიუროს სწორ ხელმძღვანელობას. ავიღოთ მაგალითისთვის ს. ხორგის პიონერთა ორგანიზაციის მდგომარეობა: ს. ხორგაში არსებობს 6, 3 სამი კოლექტივი, ის. ჟვანიას სახელობის, რომელიც აერთიანებს 434 წევრს; მათში 145 ოქტომბრელია. პიონერთა კოლექტივში უმრავლესობა ღარიბი გლეხების შვილებია. კოლექტივში 140 ქალია და სკოლის გარეთ დარჩენილი 30 ბავში, რაც მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

გამოდის კედლის გაზეთი „**პიონერთა ძახილი**". პიონერები თვითგანვითარების მიზნით იწერენ ჟურნალ-გაზეთებს. სულ ვრცელდება **20 ცალი ჟურნალი "პიონერი", 17 ცალი „ოქტომბრელი", 50 ცალი „ახალგაზრდა კომუნისტი"** (ვინაიდან კოლექტივში არიან პიონერ-კომკავშირელები) **და 30 ცალი „ახალი სოფელი"**.

პიონერებმა კოლექტიურად შეიძინეს ინდუსტრიალიზაციის და გლეხური მეურნეობის განმტკიცების ობლიგაცია 25-25 მანეთის რაოდენობით. პიონერთა და ოქტომბრელთა შორის ცალცალკე სწარმოებს ყოველ კვირაში ერთხელ მეცადინეობა ინტერნაციონალური აღზრდისთვის. აღსანიშნავია ის, რომ კულტ-ლაშქრობის საქმეში პიონერებმა ენერგიულობა გამოიჩინეს. ჩამოყალიბდა რაზმები, მაგ. რელიგიის, სიბინძურის, წერა-კითხვის უცოდინარობის და მავნე ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ მებრძოლი. მიმდინარე საბჭოთა არჩევნებში პიონერებმა ცოცხალი მონაწილეობა მიიღეს. მაგ: უწყებების დაწერა და დარიგება, თავის მშობლებს შორის აგიტაციის გაწევა და სხვა.

ყველა ეს წარმოებული მუშაობა მიეწერება თემბიუროს ენერგიულ მუშაობას. იმედია მომავლისთვის თემბიურო პიონერთა შორის მუშაობას უფრო გააძლიერებს.

ბ. მირცხულავა

ჩვენი მიღწევები.

რამდენიმე წელია, რაც ხორგაში არსებობს პიონერთა კოლექტივი, რომელსაც წელს ამხ. კოლია მირცხულავა ხელმძღვანელობს.

კოლექტივს აქვს ორკვირეული გაზეთი, გამოწერილი აქვს ჟურნალი „პიონერი" 7 ცალი და „ოქტომბრელი" 10 ცალი, რომლებიდანაც პიონერები საკმაო ცოდნას იძენენ. კოლექტივმა რამდენიმეჯერ ჩაატარა უფასო წარმოდგენა, რითაც გლეხობა კმაყოფილია.

პიონერი **ლევთერი ქანთარია.**

რა მონაწილეობა მიიღეს პიონერებმა საბჭოთა არჩევნებში.

ვიდრე დაიწყებოდა საბჭოთა არჩევნები, ქალაქ სიღნაღში არსებულ კოლექტივებში ჩატარდა საუბრები საბჭოთა არჩევნების კამპანიის შესახებ. პიონერები თანაუგრძნობდენ საბჭოთა არჩევნებს და არჩევნების წინ მათ დაარიგეს ის უწყებები, რომელიც მიაწოდა აღმასკომმა. გარდა ამისა, პიონერებმა იწყეს მუშაობა სხვადასხვა პლაკატების და ლოზუნგების დაწერაზე. ყველა ის ნამუშავარი, რაც კი ჰქონდათ კოლექტივის პიონერებს, გამოტანილ იქნა დემონსტრაციის დროს, კვირას, 10 თებერვალს. არჩევნებისათვის მზადებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ყველა კოლექტივის პიონერებმა.

გ. ხელაშვილი.

ჩვენი მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში

მექვენის (რაჭა-ლეჩხ. მაზრა) პიონერ-კოლექტივები არაჩვეულებრივი ზეიმით შეეგებენ საბჭოთა არჩევნებს.

ყველა თემის კოლექტივმა და ყველა პიონერმა თავისი წვლილი შეიტანა საბჭოთა არჩევნების წარმატებით ჩატარებაში.

კოლექტივის კრებებზე წინასწარ დამუშავდა საკითხი საბჭოთა არჩევნებისა და მასში პიონერების მონაწილეობის შესახებ. კოლექტივები რაზმებად დაიყვნენ: საგიტაციო რაზმი, რომელსაც ევალებოდა აგიტაცია გაეწია გლეხობაში საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობის და მისი კლასიური ხაზის შესახებ; ჩამომვლელთა რაზმი, რომელმაც ჩამოუარა გლეხებს, მოუწოდა, რომ ყველა წასულიყო კრებაზე და დაარიგა უწყებები მთელი თემის მაშტაბით. თითქმის ყველა უწყება პიონერების მიერ იქნა დარიგებული.

პიონერთა მექვენის ორგანიზაციამ მართლა გაამართლა თავისი სახელი და დაკისრებული მოვალეობა. სწორედ პიონერთა კოლექტივის წყალობით კრებებს დაესწრო ამომრჩეველთა 90%, შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტი. ეს პიონერების დიდი ავტორიტეტის მაჩვენებელია. კრებაზე წასულთა ოჯახებს პიონერები იცავდენ, პატარა ბავშებს უვლიდენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია დემონსტრაცია პიონერებისა, რომელიც ჩატარდა მთელი თემის მაშტაბით არჩევნების წინდღით, საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით. გლეხობა სოფლებში წითელ ყელსახვევიან პიონერებს დიდი სიხარულით ეგებებოდა. მათ პლაკატებზე ეწერა: „ყველანი—საბჭოთა არჩევნებზე". „არცერთი კულაკი საბჭოებში" და სხვა ლოზუნგები.

დღემდე მექვენის თემის ჩამორჩენილი პიონერ-ორგანიზაცია სავსებ თ გაჯანსაღების გზას ადგია. ამას უფრო შეუწყო ხელი ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლამ.

სასურველია სოფლის სხვა კოლექტივებმაც აიღონ მექვენის პიონერ-ორგანიზაციისაგან მაგალითი.

ბ. კომუნარიშვილი.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲒᲐ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲔᲗ

სვირის დემში მრავალ ახალგაზრდობას აქვს თავი მოყრილი. მათში უმრავლესობა და ირავებული ან ნაშვილები ჰყავს შეძლებულ და საშვალო გლეხებს, რომლებიც არ უშვებენ ახალგაზრდებს კრებებზე და უხეშად ექცევიან. მაგ. სვირში ცხოვრობს ვერიჩკა მესხი. მას ჰყავს ნაშვილები 1.2 წლის გოგონა ანიჩკა რობაქიძე, რომელსაც არ უშვებს კრებაზე, ხშირადაც ცემს და უდიერად ეპყრობა. ან კი რა ეძრახვის ასეთ ადამიანს, როცა სოფლის მასწავლებელიც არ ზოგავს მოწაფეებს: სვირის შუა ოთხწლედის მასწავლებელი ვასილ მემარნიშვილი უდიერად ეპყრობა მოწაფეებს. ვაი მისი ბრალი, ვინც გაკვეთილი არ იცის, — რს უყვირის და კიდეც აჩოქებს პიონერ-მოწაფეს, რაც არაა დასაშვები. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს განათლების განყოფილებამ.

ბზიკნაკბენი.

წრეს ხელმძღვანელი არ უვარგა.

კოჯორის პიონერთა პირველ სახლში პიონერები დიდი ხალისით და იმედით მოელოდენ სხვა წრეებთან ერთად დრამ-წრის ჩამოყალიბებას. დრამ-წრე ჩამოყალიბდა, მაგრამ ვაი ასეთ ჩამოყალიბებას!

წრეს ხელმძღვანელად მიუჩინეს ისეთი აღმზრდელი, რომელმაც სრულიად არ იცის ასეთ წრეში მუშაობა.

წრის „ხელმძღვანელი“ როდესაც პიესას ამზადებინებს, ის სრულებით არ უსწორებს მოთამაშე პიონერებს გამოთქმას, მიმიკას და სცენაზე მოქმედებას.

ამ ხელმძღვანელის „მოღვაწეობას“ მიეწერება ერთი აღმაშფოთებელი შემთხვევა:

ერთი თვის „მომზადების“ შემდეგ „ხელმძღვანელმა“ პიონერებს დაადგმევინა ერთი საღამო-წარმოდგენა; საღამოზე სტუმრებიც (გლეხები და სხვები) იყვნენ დაპატიჟებული. პიესა დაიდგა, მაგრამ სრულიად დამახინჯებულ ფორმებში, რის გამოც მაყურებლებში გაისმოდა უკმაყოფილების ხმები.

ყოველივე ამის შემდეგ პიონერებს არ სურთ ითამაშონ სცენაზე და საერთოდ არ უნდათ იმუშაონ, როგორც თვითონ ამბობენ, უნაყოფო წრეში მანამ, სანამ ამ წრეს შესაფერის ხელმძღვანელს არ მიუჩენენ.

სიმართლე.

გაგვიხსენით პოლექტივი.

სვირში (ქუთაისის მაზრა) ა. ლ. კ. კ. 6 უჯრედი არსებობს. ამათში მხოლოდ 3 უჯრედთან არსებობს ნ/პ კოლექტივი, რაც არ არის საკმარისი სვირის თემის მოზარდი ახალგაზრდობისათვის. კოლექტივის დაარსებას ამ თემში ხელს უწყობს ის, რომ თემში არსებობს ოთხი ოთხწლედი, სადაც სწავლობს 600-მდე ბავში და ყველა დაინტერესებულია კოლექტივში მუშაობით. ასეთი კოლექტივი არ არსებობს პირველ და მესამე უბნის ა.ლ.კ.კ. უჯრედებთან. ამ უკანასკნელ უჯრედთან არსებობდა ნ/პ კოლექტივი, მაგრამ უხელმძღვანელობის გამო დაიშალა. ვნახოთ, როგორ მოგვარებენ ამ საქმეს.

სერგო ნიკაბაძე.

ქალალდის მაკულატურის შეგროვება

უაქტივობა.

უდავო ფაქტია, რომ საბჭოთა საარჩევნო კამპანიაში მხურვალე მონაწილეობა მუშებმა და ღარიბმა გლეხობამ უნდა მიიღოს. მაგრამ მათ მუშაობის გაცხოველებაში დახმარება უნდა გაუწიონ აგრეთვე პიონერებმაც. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში პიონერ-ორგანიზაცია თავის ნორმალურ დონეზე არ დგას. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პატარა საუბრის ჩატარება ამა თუ იმ საკითხზე და ზოგიერთი ელემენტარული კითხვების გარკვევა. პიონერ-ხელმძღვანელმა მთელი წლის განმავლობაში უნდა წაიკითხოს პატარა მოხსენებები ზოგიერთ საინტერესო პოლიტიკურ საკითხებზე, თუნდაც პიონერ-მუშაობის ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ. გარდა ამისა, ზოგიერთი დღესასწაულის მოახლოვების დროს საჭიროა ამ ზეიმის ირგვლივ ლაპარაკი, მაგ. რატომ ვზეიმობთ, რა გავაკეთეთ ამ ხნის განმავლობაში, რა პრობლემები დგას ჩვენს წინ და სხვა, მაგრამ ხშირად მუშაობა ასე არ მიმდინარეობს. ავამეტყველოთ ფაქტები. მე-23, მე-9 და მე-3 შრომის სკოლებში საბჭოთა საარჩევნო კამპანიის, წითელი არმიის და საქართველოს გასაბჭოების შესახებ არ თქმულა არაფერი, პიონერები არ არიან გარკვეული ასეთ მნიშვნელოვან საკითხებში, რაც ნ/პ ორგანიზაციის სისუსტეს მიეწერება.

ჩვენ გამოვეხმაურეთ ჟურნალ „პიონერის“ რედაქციის მოწოდებას, და მოწოდებაში დასმულ კითხვაზე, თუ რა აღმზრდელობითი შედეგი მივიღეთ, ვამბობთ: არავითარი შედეგი არ მიგვიღია, ამხანაგებო! არ შეიძლება ნ/პ ორგანიზაციისადმი ასე გულგრილად მოპყრობა, საჭიროა მუშაობის გამოჯანსაღება.

ბოგი ლომიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეორე.

ქოხი ძალზე პატარაა.

შუა ადგილას ანთია ცეცხლი და ჭერი შემურვილია ჭვარტლით.

ფარდალალა ადგილები გაზეთის ნახევით აუწებიათ, მაგრამ ქარი მაინც შემოდის და წებოთი გამაგრებულ ოდნავ გახეული ადგილიდან ბზუის განუწყვეტლივ.

ყოველ კუნჭულში საშინელი სიღარიბე ჩანდა...

ერთის მხრივ იდგა დანჯღრეული ხის უბრალო ტახტი, რომელზეც ჭილობი იყო გადაფარებული და ზედ ელაგა ჭუჭყიანი ლეიბ-საბანი, მუთაქა.

იქვე იდო ცალფეხმომტვრეული ტაბაკი და გაბზარული ქვაბი, რომელშიც ჩარჩენილია გუშინდელი ლომის ქერქი.

კერიაზე მიბჟუტული ცეცხლის გარშემო ისხდენ: გახა (თიას მამა), მიტუ და თვითონ თია.

დედა დიდი ხანია რაც გარდაიცვალა და ამიტომ უფრო დააწვა კისერზე სიღარიბე ოჯახს...

გახა სამუშაოდ თუ წავიდოდა სადმე, ქოხი იკეტებოდა და სიცოცხლის ნიშანს ვერ იპოვიდით შიგ და თუ არა, შინ ჯდომით ლუკმას ხომ ვერ იშოვიდა.

მიტუ ხომ მათთან იყო ჭირსა და ლხინში.

ის სწუხდა, თია ასეთ მდგომარეობაში რომ იყო.

კერიაზე ჩაბჟუტული ფიჩხები ბოლავდა...

მიტუ ჭკვიანად ესაუბრებოდა მას თიას შესახებ.

— რატომ დაუყენე მოჯამაგირედ ბობოლა ეპის?

— აბა რა მექნა, შვილო! — ამბობდა გახა — ლუკმაპურს ძლივს ვშოულობდი და როგორ უნდა მესაზრდოებინა.

— კი, მაგრამ — დაიწყო ისევ მიტუმ — მთავრობას რათ არ მიმართე!

— ვიფიქრე, ბავშია და ჯერ ჩემთან იყოს მეთქი! მაგრამ უკვე შევიტანე თხოვნა და მპირდებიან ქალაქში სასწავლებლად გაგზავნას თავის ხარჯზე...

ეს თუ მართლა მოხდა, მაშინ ბედნიერი ვიქნები...

თიამ თვალაცეცებულმა გადახედა მიტუს.

ეს უკანასკნელი სიტყვები რომ გაიგონა, თვალები გაუბრწყინდა, უჩვეულოდ აენთო და აღტაცებით შესძახა:

— მე ქალაქში ვისწავლი და მერე მე და მიტუ გაგახარებთ, მამა!

— ხო, ბაბა! ბაბუნი! გულს ნუ გაიტეხ! — ეფერებოდა თიას მამა.

— მე აწი ეპისთან არ წავალ! ის მცემს, მლანძღავს... არც საჭმელს მაჭმევს... სჯობია აქ, ჩემს სახლში შიმშილით მოვკვდე, ვიდრე ნასუფრალი ვჭამო!

ამბობდა თია და თვალები უცრემლდებოდა...

— მართალია! ის ბობოლაა... მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს... მე ვხედავდი დღეს, თუ როგორ სცემა გზაზე! — სთქვა მიტუმ.

— კარგი, ბაბა! ნუ წახვალ! კარგი, ბაბა, არ იტირო!

ამ დროს გარედან ძახილი მოისმა...

— გახა!

თია გაჩუმდა

— გახა, უუი... — ხმა ისევ განმეორდა.

— ვინა ხარ მანდ? — გამოეხმაურა გახა.

— მე ვარ ალექსანდრე — იყო პასუხი.

— მობრძანდით შინ! — მიიპატიჟა გახამ.

— არა, მოსასვლელად არ მცალია! ხვალ დილით კლუბში კრებაა და აუცილებლად მოდი!

— რა კრებაა?

— არჩევნების შესახებ!

— ძალიან კარგი!

— აბა შენ იცი, არ დაიგვიანო! — ხმა ისევ განმეორდა და ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა.

გახამ კარები მაგრად ჩარაზა და კერას მიუჯდა.

***

— ეხლა მთავარი საზრუნავი საბჭოებია — დაიწყო მიტუმ — საბჭოში არ უნდა იქნეს არცერთი მუქთახორა.

— მაშ არც ეპი იქნება? — სთქვა თიამ.

— სწორედ რომ არ უნდა იქნეს! — დაუმატა მიტუმ, — ის ხომ ბობოლაა. არასოდეს არ დაიცავს გლეხების ინტერესებს...

და მიტუმ გაზეთი გადაშალა, დაიწყო კითხვა.

გახა ყურადღებით უსმენდა ყოველივეს, და თია წამდაუწუმ გაიძახოდა:

— მუქთახორა, არასაიმედო კაცი ეპი თოლიაა! ის არ უნდა აირჩიონ!

გახა იჯდა ჩაფიქრებული და ისმენდა ახალგაზრდობის ჭკვიანურ საუბრს.

თია წამდაუწუმ უყურებდა მიტუს მკერდს...

მას რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ რატომღაც რცხვენოდა, ბოლოს მოიკრიბა გამბედაობა და შეეკითხა:

— რატომ გაქვს ეს წითელი ლენტი?

— მე პიონერი ვარ, ჩემო თია. გინდა შენც გახდე?

— ძალიან მინდა!

— აი, ქალაქში რომ ჩამოხვალ, ჩაგწერ!

— მაშინ ალბათ ბევრი მეგობარი გამიჩნდება! — სთქვა სიხარულით თიამ.

პატარა მათხოვარი

თოვლის ფიფქები ფარავს მიდამოს,
სიცივე უფრო მოძალდა ღამით;
ამ დროს პატარა ქუჩაში ცხოვრობს,
კ ნკალებს და წუხს ბავშური ჯავრით.
მწარეა მისი ცხოვრების ხვედრი,
ვისი რა არის — არავინ იცის,
ფიქრობენ: არის ქუჩის გლახაკი,
და გულცივები აყრიან სიცილს.
ამ პატარაზე გიამბობთ ეხლა:
მამა მას ყავდა მებრძოლი მუშა,
და ეს პატარა დარჩა თითივით,
როს ჯალათებმა მოკლეს ქუჩაში.
დედა? ოჰ, ისიც მოკვდა ციხეში,
დაურჩა ობლად უმწეო ბავში,
და მეამბოხის დანგრეულ ოჯახს
შეიბრალებდენ, გგონიათ, მაშინ?
გაქრა უკვალოდ მისი ცხოვრება,
ვინაც ამაყად ასწია დროშა,
და ეს პატარა მათი მემკვიდრე
დადის უმწეოდ დღემდე ქუჩაში.
მასშიც ხომ არის ჩვენსავით გრძნობა,
ისიც ატარებს ცხოვრების სურვილს;
ცუდია, იცის, დღეს მათხოვრობა,
ჯერ კიდევ ბავში ატარებს სირცხვილს.
ამ პატარასთვის პიონერებმა
დასვეს საკითხი, რომ დაეხმარონ;
შუამდგომლობით თხოვეს ბავშთ კერას,
რომ ის უფასოდ იქ მოათავსონ.
იმის მაგიერ, რომ ქუჩის ბავში
გადიქცეოდა ქუჩის გლახაკად,
ის დღეს იზრდება საბავშო ბაღში
და ერთ დროს მართლა გახდება კაცად.
ერთხმად მადლობას გამოგიცხადებთ
მისთვის პიონერ ბავშთა კოლექტივს,
რომ ქუჩის ბავშებს თქვენ დაეხმარეთ,
კიდევ ათასჯერ მადლობას გეტყვით.

ტრიფონ რუხაძე

— ძალიან ბევრი გეყოლება! ყველა პიონერი ძმასავით იქნება შენთან და შენც ასე უნდა იყო სხვასთან!

თიას სიხარულისაგან ცრემლები გადმოუვარდა და ფიქრობდა:

— ნეტავ, მალე გავხდები პიონერი?

თავი მესამე.

გავიდა რამდენიმე დღე.

მოვიდა თოვლი, და შეიმოსა ხეები.

მთები უზარმაზარი თეთრი დევებივით იყვნენ ერთმანეთთან მიწოლილი და ზედ კიდევ თოვლის ნაცრისფერი ღრუბელი ეფარა.

სოფელი თითქმის ჩაფლული იყო თოვლში და თემშარაზე მოჩანდა ურმების რუხი კვალი.

ბავშები აგებდენ მახეს და შიგ გახლართული ჩიტები საცოდავად ფართხალობდენ.

ამ დროს ყოველთვის ისმოდა სანადირო თოფების სროლა.

მაგრამ ეხლა სულ სხვაა.

ეხლა სხვა საქმე კეთდება ..

დათოვლილ შარაზე მიდიან გლეხები, ქალები, ახალგაზრდები, მოხუცნი.

ყველა მიიჩქარის სოფლის კლუბისკენ. კლუბი კი სოფლის შუაგულშია.

უწინ ის ეკლესია იყო, მაგრამ რამდენიმე წლის წინ გააუქმეს და რადიო, კლუბი, სამკითხველო მოაწყეს.

ყველა აქეთკენ მოდიოდა...

ყველას აცინებული ქონდა სახე.

* * *

ეპი თოლიაც მოდიოდა დინჯად.

მას უთხრეს, რომ საარჩევნო უფლებას მოკლებულია, მაგრამ მაინც მიდის, უნდა გაიგოს.

თანაც სიბრაზისგან გულზე სკდება...

— თია რატომ არ მოვიდა?— ფიქრობს თავისთვის.

გზაზე ეპის გახა შეხვდა.

— კაცო, ბავში რათ არ გამოაგზავნე?— შეეკითხა მას.

რა ვიცი, ბავში თვითონ არ მოდის!

— კაცო, არ ვაჭმევდი, არ ვაცმევდი, თუ რა?.

— არა, მას მაინც არ ეცლება აწი! მთავრობამ გუშინ მითხრა, ქალაქში ვაგზავნით სასწავლებელშიო.

— მერე, მეც ვასწავლიდი!

— იმას იქ უკეთ ასწავლიან!

ეპიმ თავი ჩაქინდრა.

სალაპარაკო არაფერი ქონდა და გზას გაუდგა.

* * *

კლუბში აურიცხელი ხალხი ირეოდა.

ეპიმ რომ დააპირა შიგ შესვლა, უთხრეს:

— შენ არ შეგიძლია შეხვიდე!

— რატომ? — გაიკვირვა მან.

— შავ სიაში ხარ — უპასუხეს მას.

ეპი მოიღუშა. იგრძნო შეურაცხყოფის სიმწვავე და დაიწყო:

— მერე, მე ისეთი რა ჩავიდინე? ვინმეს რამე წავართვი, გავცარცვე თუ რა?

— ასე კია და!.. —უპასუხეს.

მაშინ მობრუნდა.

მიაჩერდა კედელს, სადაც შავი სია იყო გაკრული.

იქ მან გარკვევით წაიკითხა თავისი სახელი და გვარი...

* * *

მეორე დღეს გამწარებით დარბოდა ეპი.

— ვინ აირჩიეს? — ეკითხებოდა ყველას...

ყველა ერთსადაიმავეს უამბობდა...

გულზე სკდებოდა, როცა გაიგონებდა გახას სახელს და თავისთვის ამბობდა:

— გახამ საბჭოში რა უნდა გააკეთოს!

თავს მაინც არ უჯეროდა, სანამ ერთმა ვაჭარმა არ უთხრა:

— წახდა ჩვენი საქმე! საბჭოში გახა წამოასკუპეს!

და მართლაც ასე იყო, გახა აირჩიეს საბჭოში, და თიას სიხარულს საზღვარი არ ქონდა...

როცა მიტუ და თია გამოვიდენ კლუბიდან, დაინახეს ეპი, რომელიც ისევ მისჩერებოდა შავ სიას და საცოდავად იკრუნჩხებოდა სირცხვილის გამო...

კლუბი იცლებოდა ხალხისაგან.

მიტუმ და თიამ კედელთან აჩხირულ ეპის წინ ხელი-ხელ ჩაკიდებულებმა გაიარეს.

ეპიმ მხოლოდ ალმაცერად შეხედა მათ.

არჩილ ჩაჩიბაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება და ტექნიკა



როგორ წარმოიშვა ადამიანი?

მღვდელს და გაუნათლებელ ადამიანს რომ ჰკითხოთ: — როგორ წარმოიშვა ადამიანი? — გიპასუხებსთ: — პირველი ადამიანი, მამაკაცი, ღმერთმა გააჩინა თიხისაგან, მასში სულის ჩაბერვით, და მისი გვერდიდან მეორე ადამიანი, ქალი...

მეცნიერება კი, რომელიც ემყარება ზედმიწევნით სწორ ცოდნაზე, ცდასა და დაკვირვებაზე, ამტკიცებს, რომ ზემოაღნიშნული პასუხი შემცდარია, ის ზღაპარია ხალხის მოსატყუებლად, სინამდვილეში კი არც ღმერთი არსებობს, და ადამიანის წინამორბედი მაიმუნია.

უხსოვარ დროში წვრილ ნივთიერებათა შეერთებიდან წარმოიშვა ცოცხალი არსებანი და შემდეგ ისინი თანდათანობით განვითარდენ სხვადასხვა ცხოველებად.

ყოველი მცენარის, ცხოველის და მათ შორის ადამიანის სიცოცხლის განვითარებაში იყო ისეთი საფეხური, როდისაც ისინი ერთ უჯრედს წარმოადგენდენ. ერთეული უჯრედი გაყოფის საშუალებით უჯრედთა ჯგუფად იქცა და შემდეგ უჯრედთა უთვალავი რაოდენობა წარმოიშვა უმაღლესი ცხოველის ქსოვილების და ორგანოების შესადგენად.

ცხოველთა ყოველ გვარს მილიონი წლების განმავლობაში თანდათანობითი განვითარების ისტორია აქვს.

თითოეულ ცხოველს ცალკე თავისი საკუთარი განვითარების ისტორია აქვს, რომელიც მის ჩასახვის დროიდან იწყება. ამ შემთხვევაში ცალკე ცხოველი დაახლოვებით იმ გზას მისდევს, რომლითაც მისი გვარი განვითარდა.

ეს საკითხები ყველაზე უკეთესად ინგლისელმა ცნობილმა მეცნიერმა **ჩარლზ დარვინმა** დაამუშავა.

რაში მდგომარეობს დარვინის მოძღვრება — დარვინიზმი?

დარვინი გვასწავლის, რომ მცენარეთა და ცხოველთა სამეფოში ახალი სახეების (გვარების) გაჩენა და განვითარება აიხსნება ბუნებრივი და სქესობრივი შერჩევით სიცოცხლის შესანარჩუნებლად და გასამრავლებლად ბრძოლაში. აქვე მხედველობაშია მიღებული ის, რომ დაბადებიდან ცოცხალი არსება სხვადასხვანაირია და ცვალებადი, ის არსებობის სხვადასხვა პირობებს ეგუება და შთამომავლობით გადასცემს ასეთსავე ცვალებად შთამომავლობას როგორც მემკვიდრეობითს, ისე შეძენილ თვისებებს.

კერძოდ ადამიანის შესახებ დარვინი ამბობს, რომ ადამიანი არის ყველაზე უფრო განვითარებული ცხოველი და ის „წარმოიშვა უფრო ნაკლებად მოწყობილი ფორმიდან... თმიანი და კუდიანი ოთხფეხიდან, რომელიც, ალბათ, ცხოვრობდა ხეებზე და ძველი ქვეყნის მცხოვრები იყო. ამ არსების მთელი აგებულება ზოოლოგს რომ გამოერკვია, მაშინ უკანასკნელი მას ოთხხელანებს მიაკუთვნებდა; ეს არსება უეჭველად იყო საერთო წინაპარი ძველი და ახალი ქვეყნის მაიმუნების“.

გარდა ამისა, თავის წიგნში „ადამიანის წარმოშობის შესახებ“ დარვინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანი გონებრივად და ზნეობრივად განსხვავდება ცხოველებიდან, და ადამიანი, როგორც ცხოველი, ამაღლდა და გაუმჯობესდა არსებობისათვის ბრძოლაში.

როგორც დარვინის წიგნის ზემოაღნიშნული ამონაწერიდან ჩანს, ადამიანს და ეხლანდელ მაიმუნებს ჰყავდათ საერთო წინაპარი, რომელიც დღეს არ არსებობს. ის მოისპო $1^1/_2$ თუ 2 მილიონი წლის წინად ამის გამო დარვინის მოწინააღმდეგეები გაჰკიოდენ, მისი მოძღვრება შემცდარიაო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. 1891 წელს დოქტორ **დიუბაუმ** კუნძულ იავაზე და 2 წლის წინად **როსტმა** სამხრეთ აფრიკაში იპოვეს ამ გადაშენებული მოდგმის ნაშთები.

დარვინიზმის სისწორის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: ერთი ცხოველის (მაგალითად, თაგვის) სისხლი მეორე ცხოველს (მაგალითად, ძაღლს) რომ შეუშხაპუნოთ (ნემსის საშუალებით), ძაღლი მოკვდება. ეს იმით აიხსნება, რომ ამ სხვადასხვა ცხოველების სისხლი ერთმანეთს სრულიად არ ეწათესავება და არ ეგუება; ასეთი ცდის დროს სხვა ცხოველის სისხლი ისე მოქმედობს, როგორც საწამლავი.

ეხლა ასეთივე ცდა რომ მოვახდინოთ ადამიანის და მაიმუნის მიმართ, ე. ი. ადამიანის სისხლი მაიმუნს შევუშხაპუნოთ, ის არ მოკვდება, მასზე ეს არავითარ გავლენას არ მოახდენს.

კიდევ შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: ამ რამდენიმე თვის წინად პროფესორმა **ვორონოვმა** მოახდინა ცდა: მოახერხა ადამიანის თესლით გაენაყოფიერებია მაიმუნი, რომელმაც დაბადა შვილი (მაიმუნი).

მარტო ეს დამაჯერებული ფაქტებიც არ კმარა. საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა პირობებში მოხდა მაიმუნიდან ადამიანის განვითარება.

ამ საკითხზე მეტად საინტერესოა **ფრიდრიხ ენგელსის** წერილი „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გახდომის პროცესში“. აქ ენგელსი ამბობს, რომ შრომის დროს პიროველყოფილმა წინაპარმა იხმარა უბრალო იარაღი, რომ ბუნება უკეთ დაემორჩილებია და ეცხოვრა, ამნაირად „შრომამ შექმნა ადამიანი“.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკის გმირებთან

ძვირფასო მეგობარო!

მე მაქვს შენთვის ამერიკელის მიერ დაწერილი მეტისმეტად საინტერესო წიგნი, რომელიც მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გაატარა ორმა ამერიკელმა ყრმამ ნიუ-იორკში თავისი არდადეგები.

— მაგრამ რისთვისაა ეს საჭირო? — შეგიძლია შემეკითხო. „განა ცოტაა გერმანიაში საინტერესო შრომისა და ტექნიკის სფეროდან, რაზეც ღირდა წიგნის დაწერა?“.

— სრული სიმართლეა, მართალი ხარ.. მაგრამ აი რა: აღწერებს შენ თითქმის ყოველდღე ხვდიბი გაზეთებში, ყოველკვირეულ და სპეციალ ჟურნალებში... მე კი მინდა მოგცე ისეთი წიგნი, რომელიც დაგიხატავს საზღვარგარეთის ცხოვრების საერთო სურათს, დაგანახვებს — ადამიანები იქ როგორ შრომობენ და რას აწარმოებენ.

ამ წიგნის სხვადასხვა თავში დაწვრილებით არის აწერილი ნაირ-ნაირი ტექნიკური ხელსაწყოები, მანქანები და სხვა ნივთები. აქ არის აწერილი აგრეთვე იმგვარი ტექნიკური მუშაობა, რომელიც ჩვენში, გერმანიაში, იშვიათად წარმოებს და ამიტომ მისი გაცნობა შესაძლებელია მხოლოდ საზღვარგარეთ, ანდა საზღვარგარეული წიგნებით. შენ, განვითარებულ ახალგაზრდას, ანდა თუნდაც მომავალ ინჟინერს და ტექნიკოსს, დარწმუნებული ვარ, გაინტერესებს სწორედ ის ნივთები, რომლებიც შენთვის გერმანიაში ნაკლებად ან სრულიად მიუწდომელია. მაშ მოდი და წავიკითხოთ ერთად იმის შესახებ, რაც განიცადა ორმა მეგობარმა — ჯიმმა და ბილმა, როგორ მიცოცავდენ ისინი ძალზე მაღალ ცადმბჯენებზე, შეკუმშული ჰაერის შემცველი რკინის კესონებით როგორ ჩადიოდენ ღრმად მიწის ქვეშ წყალქვეშა სამუშაოების დათვალიერების მიზნით, შემდეგ მუშაობდენ მიწისმთხრელებთან გვირაბში, რა განიცადეს მათ დაკიდებულ ხიდზე, წყალქვეშა ნავში და ყოველგან ნიუ-იორკში თუ მის მიდამოებში, სადაც დიდი მუშაობა წარმოებდა და საინჟინერო ხელოვნების უკანასკნელი მიღწევების გამოყენებით შენდებოდა უზარმაზარი ნაგებობანი. მაგრამ საინტერესო რამეების შესახებ მე არ გიამბობ, შენ თვითონ წაიკითხავ.

თავი I.

რაზე დავობდა ბიძია ედუარდი.

„აი მომავალი ინჟინერი!“ — ამ სიტყვებით გადასცა სკოლის მოწმობა ბიძია ედუარდმა თავის მეგობარ დოქტორ მაკ-გრეგორის.

— ძალზე მომზადებულია ფიზიკაში და მათემატიკაში“. ბავში ოდესმე სახელს მოიხვეჭს. შემოდგომაზე მას უმაღლეს სკოლაში გავაგზავნი.

დოქტორი მაკ-გრეგორი კრიტიკულად მოეპყრო მოწმობას.

— სუსტია ბევრ საგანში. სუსტი ნიშანი აქვს გერმანულში და მხოლოდ „დამაკმაყოფილებელი“ ლათინურში.

— ენები მას არასოდეს არ ეხერხებოდა.

— როგორც ყოველთვის იმ ახალგაზრდებს, რომელნიც არ ფიქრობენ შემოსავალზე. იმ საგნებში, რომელიც ეხერხებათ, მათ შეუძლიათ დიდ წარმატებებს მიაღწიონ, ხოლო მძიმე საგნების დაძლევა ეზარებათ. მე ახალგაზრდობისას ძალზე ბევრს ვმუშაობდი არდადეგებზე, რომ მოვეპოვებია ჩემთვის სწავლის შესაძლებლობა და რას არ ვაკეთებდი. შემიძლია ვთქვა, ჩემი შემოსავალი უბრალოდ არ მომდიოდა, საკუთარი ოფლით მოვიპოვე. ეს დიდი შეცდომაა, რომ თქვენს ძმისწულს არდადეგებზე სოფლად უსაქმოდ სტოვებთ.

— მაგრამ თქვენ ხომ იცით, თუ რას აკეთებდა ის იქ: გაჰყავდა პატარა გზები და ქუჩები, აშენებდა ხიდებს, ზომავდა ადგილს, აგებდა ყოველგვარ ნაგებობას.

— სათამაშოებია, ყოველივე ეს თამაშობაა! — მოუთმენლად აწყვეტინებს მას მაკ-გრეგორი. — ყველაფერ ამას დიდის ხალისით აკეთებენ ბიჭები, ხოლო აბა სცადეთ მისცეთ მათ ნამდვილი სამუშაო — არაფერი არ გამოვა! სკოლაში ისინი იღებენ კარგ ნიშნებს მათემატიკაში, ხოლო გადავლენ თუ არა უმაღლეს სკოლაში მათემატიკის, ალგებრის და გეომეტრიის ძნელ დარგებზე, — მათთვის მათემატიკა აღარ არის სასიამოვნო, ძნელი დასაძლევია და კურსზე ყველაზე სუსტი სტუდენტები ისინი არიან. გარწმუნებთ, მე ვიცნობ ამ ხალხს. ბავშები უბედური არსებანი არიან. ისინი რომ ადამიანები გახდენ, საჭიროა რკინის ნებისყოფა და თანაც პატარაობიდანვე უნდა ვაცნობდეთ მათ ცხოვრების მკაცრ მხარეებს, თანამედროვე ახალგაზრდობას არავითარი წარმოდგენა არა აქვს ყაირათიანობაზე. ყოველ შემონახულ კაპეიკს ახალგაზრდობისას წიგნების ყიდვაში ვხარჯავდი. მერე როგორ ვაფასებდი ამ წიგნებს! მთელი საათობით ვკითხულობდი წიგნებს სანთლის სინათლეზე, თუმც ჩემი ორგანიზმი დღით დაჭიმული მუშაობის შემდეგ აუცილებელ დასვენებას თხოულობდა. მე ვიცოდი ფულის ფასი. თქვენი ძმისწული კი, რაზეც გინდა დამენაძლავეთ, ათი დოლარით რომ ნიუ-იორკში მოხვდეს, ამ ფულს სულ კონი-აილენდში (გასართობი ხეივანია) გაანიავებს.

ბიძია ედუარდისათვის განსაცვიფრებელი არ იყო მისი თანამშრომლის ასეთი შეხედულება.

— შესაძლებელია ეს გამოსადეგი იყოს ბევრი ბავშისათვის, მაგრამ მე არასოდეს არ გავიზიარებ იმას, თითქოს ყველა ბავში ერთნაირია. მე მგონია, რომ ყოველი მათგანი იმდენად თავისებურია, როგორც, ვთქვათ, სხვადასხვა ავადმყოფობა; ყოველ ავადმყოფობას განსაზღვრული საშუალებით წამლობენ. ბილს მე ისე ვიცნობ, როგორც საკუთარ ბავშს; ექვსი წლის ასაკიდან, მისი მშობლების სიკვდილის შემდეგ, ხომ მისი მამობილი ვარ. მე თქვენ არ დაგენაძლავებით, ეს უაზრობაა. მაგრამ მინდა ბავში გამოვცადო. მე მივცემ მას ათას დოლარს იმ მიზნით, რომ ეს თანხა ისე ხარჯოს, როგორც თვითონ მოესურვება, და მაშინ ვნახავთ, თუ რას ჩაიდენს.

— როგორ? — დაიყვირა დოქტორ მაკ-გრეგორიმ, ბიჭუნას ათასი დოლარი? თქვენ დაღუპავთ მას!..

— ო, არა, — უპასუხა ბიძია ედუარდმა, — მე ვიცნობ ბილს. ის გროშსაც არ დახარჯავს ტყუილა-უბრალოდ და თუ ის ისეთი არაა, როგორადაც მე მას ვთვლი, უკეთესია ჩემთვის, თუ ადრევე გავერკვევი ამაში. მაშინ მე მას მოვაწყობ სადმე სამუშაოზე და შევაგროვებ ფულს, რომ ვასწავლო უმაღლეს სკოლაში.

— თუ თქვენ მისცემთ მას ფულს სათანადო დარიგებით, ცხადია, ის გაფრთხილდება.

— ის მიიღებს ფულს ყოველგვარი პირობის და კონტროლის გარეშე. მე თვითონ მთელ ზაფხულს საზღვარგარეთ გავატარებ. ერთადერთი ჩემი წინადადება იქნება — წაიყვანოს თან თავისი მეგობარი ჯიმი, — ისინი თითქმის განუყრელები არიან, — და გაემგზავრონ ნიუ-იორკის გასაცნობად. კიდევ ერთი:

— დღიური იქონიონ.

— ნიუ-იორკის გაცნობა, — იცინოდა დოქტორი მაკ-გრეგორი, — ამას ის შეძლებს!

ა. ბონდი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბო — გოლიათი

იაპონიის ნაპირებზე, იქ, სადაც წყალი წყნარია და თხელი, ცხოვრობს ყველაზე დიდი კიბო, კიბო-გოლიათი. ამ კიბოს არა აქვს კუდი და თავისი ანაგობით ძლიერ გავს ობობას.

ჩვეულებრივად ასეთი კიბოები ცხოვრობენ ზღვის ფსკერზე, იკვებებიან ყოველგვარი ცხოველებით, თევზებით, ლოკოკინებით და ხშირად ლეშითაც.

კიბო გოლიათი უზარმაზარი იზრდება, მისი სიგრძე ორ მეტრს უდრის, მაგრამ თუ ირგვლივ გაშლილი ფეხებით გავზომავთ, იგი ხუთი მეტრი მოვა. ერთი შეხედვით ასეთი კიბო საშინელი სანახავია, მაგრამ ხმელეთზე იგი უძლურია, აქ მის გრძელ ფეხებს არ შეუძლია სხეულის დაჭერა, წყალში კი იგი აჩრდილს გავს, რომელიც ტალღებს თავისუფლად დააქვს.

საინტერესოა ამ კიბოს ფერიც.

ჩვეულებრივი კიბო წითელია, როცა მას მოხარშავენ, კიბო-გოლიათი კი მოხარშული კიბოს ფერისაა, ფეხები თეთრი აქვს, მაგრამ წვერები კი ისევ წითელი.

ამ კიბოს სახით ბუნებამ თითქოს უმწეო და ზედმეტი ცხოველი გააჩინა, რომელიც ძლივს ცხოვრობს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოელის საფრთხე. სინამდვილეში კი სულ სხვას ვხედავთ: იგი მეტად დიდი იზრდება. რით შეიძლება ეს აიხსნას?

მეცნიერებმა აღმოაჩინეს ბუნებაში ასეთი კანონი: ყოველი ცხოველი ეგუება იმ პირობებს, რომელშიც იზრდება იგი.

გავარჩიოთ ამ თვალსაზრისით კიბო-გოლიათის ცხოვრება. მას ისე გრძელი და სუსტი ფეხები აქვს, რომ ხმელეთზე ტანის დაჭერაც არ შეუძლია, მაგრამ ის ხმელეთზე კი არ ცხოვრობს, არამედ წყალში, სადაც მისი მჩატე სხეული წყალს თავისუფლად დააქვს აქეთ-იქით, ფეხები კი მას ამ შემთხვევაში ესაჭიროება თევზების დასაჭერად ანდა მტრისგან გასაქცევად. იაპონიის ზღვის ფსკერზე ჩვეულებრივ წითელი ფერის ბუჩქნარები ხარობს, კიბოც ამ ბუჩქების ფერისაა, ასე რომ ეს კიბო უვნებლად ცხოვრობს წყალში.

მტაცებელი მცენარეები

მეცნიერება არა თუ მარტო თვითონ ახდენს სასწაულებს, არამედ ბუნებაშიც ეძებს და გებულობს მის საიდუმლოებას.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მცენარეები არა თუ მარტო ხარობენ, არამედ სუნთქავენ, იკვებებიან, მრავლდებიან და მოძრაობენ.

არის მრავალი მცენარე, რომელიც ღამით იკეცება, დღისით კი ისევ იშლება და მზისკენ იხრება.

ყველას უნახავს ალბათ, თუ როგორ შემობრუნებულა მზისუმზირა დილით აღმოსავლეთისაკენ და საღამოს კი დასავლეთისაკენ.

არის ერთი მცენარე, რომელსაც მიმოზას უწოდებენ; საკმარისია შეახოთ მას ხელი, რომ მან ფოთოლები დაკეცოს, რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაშლის.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. არის მტაცებელი მცენარეც, რომელიც ნადირობს ბუზებზე, ჭიანჭველებზე, პეპლებზე. ის უდარაჯებს მათ, იჭერს და სჭამს.

ასეთი მცენარეები მრავლადაა ბუნებაში. მათ შორის ცნობილია როსიანკა და ბუზიჭერია მცენარე.

პირველი ფართოფოთლებიანი ბალახია, რომელსაც პატარა ჯირკვლებივით ასხია რაღაც, აქ მზადდება ერთგვარი წებოს მსგავსი სითხე, რომლის საშვალებითაც ის იჭერს ბუზებს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, დაჭერილი ბუზი მას გადააქვს მთავარ ფოთოლზე, რომელიც შემდეგ იკეცება, და ბუზი შუაში ექცევა; ცოტა ხნის შემდეგ იგი ისევ იშლება, და ბუზისგან მხოლოდ ფეხები და ფრთები რჩება.

მეორე მცენარე კიდევ უფრო საინტერესოა, იგი ხაფანგივით იჭერს მწერებს, მისი ფოთლები ისეა მოწყობილი, რომ საკმარისია მასზე დაჯდეს ხოჭო ან ბუზი, რომ ის ფოთლის შუაგულში მოექცეს, და მცენარე შესჭამს მას.

ამრიგად, ეს მცენარეები არა თუ სუნთქავენ, იკვებებიან, არამედ მოძრაობენ თავისი სხეულის ნაწილებით, იკვებებიან, როგორც მტაცებელი ცხოველები. ამის გარდა, მათ ისიც იციან, თუ რა უნდა სჭამონ; მეცნიერებმა მათ ფოთლებზე დაუდვეს კვერცხის ცილი, რომელიც მათ შესჭამეს, მაგრამ მინის ნატეხი უკუაგდეს.

ყურები ფეხებზე

ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ მინდვრის ჭრიჭინას, მაგრამ შეიძლება ყველამ არ ვიცოდეთ, რომ ჭრიჭინას ყურები თავზე კი არა აქვს, არამედ ფეხზე.

გამადიდებელი შუშის საშვალებით მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ ჭრიჭინას თავზე არ ქონდა ყურები. ამიტომ ფიქრობდენ, რომ ჭრიჭინას არაფერი ესმოდა. მაგრამ გამოირკვა, რომ მას ყურები ფეხებზე აქვს, ისიც არა ორი, არამედ ოთხი: ორი წინა ფეხზე და ორიც უკანა ფეხზე. გარეგანი შეხედულებით ეს ყურები ადამიანის ყურებს ჩამორჩება.

აი რამდენიმე საიდუმლოება, რომელიც ბუნებაში არსებობს და მეცნიერულად გამოკვლეული და შესწავლილი.

სანი

ჟურ. „პიონერის“ რედაქციისაგან

ჟურნ. „პიონერის“ და „ოქტომბრელის“ რედაქციას ყოველდღე აუარებელი მასალა მოსდის საქართველოს ყოველი კუთხიდან, რაც უსათუოდ სასიხარულო მოვლენაა, ვინაიდან ეს პიონერის და მოწაფეების აქტივობის ზრდის მაჩვენებელია. რედაქცია ყოველდღე მარტო ასამდე კორესპონდენციას იღებს და ამ ფოსტიდან მხოლოდ ღირებულს და საქმიანს იტოვებს.

საქმიანი კორესპონდენციები ხშირად ცუდადაა დაწერილი, წინადადება გაუმართავია, სავსეა გრამატიკული შეცდომებით და სხვა, მაგრამ მათ რედაქცია ასწორებს და ჟურნალებში ათავსებს.

გამოგზავნილი კორესპონდენციების, ლექსების და მოთხრობების დიდი ნაწილი ყოველმხრივ გამოუსადეგარია და მათი ჟურნალში მოთავსება დიდი დანაშაული იქნებოდა საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების წინაშე.

ხშირია შემთხვევა, როდესაც რომელიმე ბავშკორი კოლექტივის, სკოლის ან რომელიმე დაწესებულების მუშაობაში მხოლოდ **უმნიშვნელო წვრილმანს** აკეთებს ყურადღებას და **მნიშვნელოვანი, მთავარი** კი ავიწყდება, ან ერთიდაიგივე კოლექტივი ერთნაირი ხასიათის წერილებს **აგზავნის** რედაქციაში (მაგ. ოზურგეთის „ეპოს“, პარტიასთან და კომკავშირთან არსებული ნ. პ. კოლექტივი) და ამით მიზანშეუწონლად იხარჯება თვით ბავშკორის ენერგია, საფოსტო ფული, მელანი და ქაღალდი.

შემდეგ უნდა ეცადოთ, ამხანაგო ბავშკორებო, პიონერის **ცოცხალ საქმეებზე საქმიანი მასალები** მოგვაწოდოთ, არ გამოგზავნოთ ისეთი ხასიათის კორესპონდენცია, რომელშიც მხოლოდ შემდეგია დაწერილი:

„№ კოლექტივის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. მომავალში უკეთ ვიმუშავებთ“ — ეს არაფერს არ ამბობს, ვინაიდან პიონერ-ორგანიზაციის კონკრეტული საქმიანობის სურათს არ იძლევა.

გარდა ამისა, კორესპონდენცია უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ გვერდზე, რაც შეიძლება უნდა იყოს მოკლე, საქმიანი და გასაგები, ისში უნდა ჩანდეს ამათუიმ კოლექტივის, სკოლის და სხ. კონკრეტული საქმიანობა, მიღწევები, დეფექტები და საქმიანი მითითებანი. თუ ეს არაა, გამოგზავნილი მასალა კორესპონდენცია კი არაა, არამედ უვარგისი ქაღალდის ნაგლეჯია.

კორესპონდენციების გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილებიდან უამრავი ლექსი და მოთხრობა მოგვდის, რომელთა დიდი ნაწილი ძალზე სუსტია, შესწორებაც შეუძლებელია, ასე რომ მათი ჟურნალში მოთავსება ყოვლად შეუძლებელია.

ამით იმის თქმა როდი გვსურს, რომ ამ მასალის გამომგზავნელებისაგან არა გამოვა რა, პირიქით, შეიძლება ზოგიერთმა მათგანმა თავის თავზე სერიოზული მუშაობის შემდეგ მწერლობა დაიწყოს. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა პოლიტანბანის, ქართული ენის და გრამატიკის კარგი ცოდნა.

გადავხედოთ ამ მოკლე ხანში ადგილებიდან გამოგზავნილი მასალის ერთ ნაწილს.

მაგალითად, ჩვენს რედაქციას ხშირად აწვდიან **უცოდინარად დაწერილ საერთო ხასიათის განყენებულ ლექსებს**. დღეს არ კმარა სწერო **„სახელოვანი დროშა წინ გვიძღვის“**.

ჩვენ ვიცით, რომ ლენინურ დროშას პიონერები ერთგულად ემსახურებიან, სკოლაში იქნება ეს, პიონერ-კოლექტივებში, ქოხ-სამკითხველოში, თუ ოჯახში, ასე რომ მარტო პიონერული მარშები კი არ უნდა ვწეროთ. არამედ ლექსები **პიონერის ცოცხალ საქმეებზე** (რაც შეიძლება კონკრეტულად) და, რაც მთავარია, ყოველი ლექსი პიონერ-მკითხველისათვის უნდა იქნეს გამოსადეგი: ლექსი უნდა იყოს მოკლე, შინაარსიანი და გასაგები, ჩვენ კი ბევრი ისეთი ლექსი მოგვდის, რომლის გაგება მხოლოდ მოზრდილ მკითხველს შეუძლია.

გვაწვდიან ასეთ ლექსსაც:

„დარაზმული წითლათ
დროშის ფრიალი მზეზე
ბარაბანით და საყვირით
გავიართ გზებზე“ და სხვ.

რასაკვირველია, **ასეთი** ლექსების და **ასე** წერა არ ვარგა. ბოლოს და ბოლოს აუცილებელი როდია, რომ ყველა წერდეს ლექსს. ამ ლექსის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს პიონერებს მეტი საქმე არა აქვთ, გარდა დროშის ბრახუნისა, ეს კი დამახინჯებული წარმოდგენაა პიონერებზე.

ასეთი ძალზე სუსტი, უშინაარსო და ცუდი ენით დაწერილი ლექსების შესწორებაც კი შეუძლებელია.

აი კიდევ ერთი „ლექსი“:

„საბჭოთა ხელისუფლებაც
ჩვენ ხელს გვიწყობს
ამიტომ რომ მტერს
ჩავცეთ მახვილი
და გაიმარჯოს საბჭომა“ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ამონაწერში „საბჭოების გამარჯვებაზეა“ ლაპარაკი, იგი მეტად ცუდადაა დაწერილი, რასაც ყოველი მკითხველი იგრძნობს. ამ ლექსში ყველაფერი ერთიერთმანეთშია არეული, არა ჩანს მთავარი ხაზი და შინაარსი. ამიტომ ასეთ მასალას არ ვბეჭდავთ.

მაგრამ ყველაფერი ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს რედაქცია ადგილებიდან გამოგზავნილ მასალას სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ადგილებიდან გამოგზავნილი მასალებიდან ისტამბება მხოლოდ ის, რაც **გამოსადეგია**. ამაში თქვენ დარწმუნდებით, თუ საქმიანად გადახედავთ ჩვენი ჟურნალის განყოფილებას: **„ჩვენი ცოცხალი საქმე“**.

ანდა დავასახელებთ ჟურნ. „პიონერის“ და „ოქტომბრელის“ სალიტერატურო განყოფილების ზოგიერთ თანამშრომელს: მარო კეჩხუაშვილი, ნოე დაფნარელი, გ. შალვაშვილი, გოვი ლომიძე, ნ. გორდაძე და სხვანი პიონერები და კომკავშირელები არიან, ზოგიერთი მათგანი პროვინციიდანაა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადგილებიდან მოსულ მასალას რედაქცია სერიოზულად ეპყრობა და იმას, რაც გამოსადეგია, სათანადო შესწორების შემდეგ ბეჭდავს ჟურნალებში.

ამ ნომრიდან კი ჟურნ. „პიონერში“ შემოღებული იქნება **ლიტერატურული კონსულტაცია**. (ფოსტის მაგიერ), რომელიც მიუთითებს დამწყებ მწერლებს, ბავშკორებს და მწერლობით დაინტერესებულ ყოველ ამხანაგს, თუ **რა ხასიათის მასალაა** საჭირო ჩვენი ჟურნალისათვის და **როგორ უნდა იწერებოდეს**.

ამას რომ აღმხრდელობითი მნიშვნელობა ექნეს, კონსულტაცია წარმოებული იქნება უმთავრესად ადგილებიდან გამოგზავნილ მასალებზე.

რედაქცია — სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი—სახელგამი

1929 წ.

გამოდის **გამოდის**

საყმაწვილო დასურათებული

→→ ჟურნალები ←←

მოზრდილთათვის

პიონერი

ორკვირეული **IV წ.**

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.
ექვს თვეს — 3 მან.
სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კპ.

მცირეწლოვანთათვის

„ოქტომბრელი“

ყოველთვიური **III წ.**

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით { „ოქტომბრელი“ — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით — 2 მ.

ცალკე ნომერი—35 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი. ახალგაზრდათა სექტორი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ოქტომბრელი“-ს რედაქცია

სახელგამის სტამბა. სომხის ბაზარი № 22.

მთავარლიტი № 410. შეკ. № 115. ტირაჟი 1000.